# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 54 სამშაბათი, 10 მარტი 1909 წ. № 54

გაზეთი «დროება» სურათებიანი დამატებით ერთის წლით ღირს 8 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით—5 მან. 10 კ., ერთის თვით—1 მან. გაზეთის გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვებში.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მან.. ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება «დროების» რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე, საღამოთი 5-დან 8-მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს სულ არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება [illegible] დღე, კვირა-უქმეების გარდა დილ. 10 [illegible] დღევის 3 საათამდე.

ადრესის გამოცვლა ტფილისიდან ტფილისს გარედ ღირს 1 მან., ხოლო სხვაგან 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. «ДРОЭБА».

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 12—1 ს. საღამოთი 6—8 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. ყორღანოვის ქუჩა N 14. (უ)

**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილით 7—9 ს., საღამოთი 5—7 ს. ავჭალის ქუჩა, N 41, სახულიერო სასწავლებლის პირდაპირ. (უ)

**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებანი. ტფილისის ქუჩა, ს. თ. ნიჟარაძისა (6—75)

**ექიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი ქუთაისში იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ სნეულებით ავადმყოფებს (სიფილისი, სუსუნატი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების სატკივარი), ტფილისის ქ., ფირალოვის სახლი (ქარხანა). (120—დ.—75)

**ექიმი** ვ. ღამბაშიძე გადავიდა გოლოვინის პრ. N 8. ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოობით 6—7 ს. კვირა დღის გარდა. (უ)

**კაბინეტი** ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა. იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ყორღანოვის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. 791. (ნ. 113)

**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12. სახლი მდივანისა. (უ)

**ექიმი** მ. ნ. მელიქიშვილი იღებს ქირურგიულ და ქალების სნეულებათა ავადმყოფებს ყოველ დღე 9—10 საათზე დილით და 4—6 საათზე საღამოთი. ბროსსეს ქუჩა, N 11. (75—27)

**ექიმები** კბილისა ქუთაისში ნ. ა. დემიდოვი და მ. ო. სუხარევსკი იღებენ ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 8—2 ს. საღამოთი 4—7 ს. პლომბის გაკეთება, კბილის ჩასმა და პროტეზები. აბდრონის ქუჩა, სახლი N 14, დემიდოვისა (0—586—114)

**ექიმი** კბილისა ნ. რცხილაძე იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა N 25. (უ)

**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველდღე დილით 9-დან 11-მდე. კიროჩნი, N 9. (უ)

**ექიმი** ქუთაისში ვ. წერეთელი იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებით ავადმყოფთ. ტფილისის ქუჩა, სადაც კაზაკოვის ქუჩა იწყება, სამსონ აბდუშელიშვილის სახლში, დილით 9—12 ს. და საღამოთი 4—6 ს. (უ)

ახლად გახსნილი
**ტფილისის**
**კერძო სამკურნალო**
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვოგზლის ქ., № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფ. 695.

ე. გ. **ფეოდოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.
ვ. დ. **ლამბაშიძე**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. შინაგ. და ბავშ. ავად.
ბ. ა. **პოპოვი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 12—1 ს. ყელისა, ცხვირისა და ყურისა.
გ. მ. **მაკაროვი**—სამშ. და პარასკ. 1—2 ს. შინაგ. და ბავშვ. ავადმ.
ა. ნ. **დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.
ნ. მ. **მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2 ს.
ი. გ. **გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს.
ვ. ს. **მუსხელიშვილი**—ყოვ. დღე, კვირის გარდა, 2—3 ს. თვალისა.

**საღამოთი.**

ა. გ. **მირზოევი**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 5—6 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
ნ. გ. **ჭიჭინაძე**—ყოვ. დღე, კვირ. გარდა, 6—7 ს. შინაგ. და ბავშვ. ავად.
მიკროსკოპიული, ქირურგიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ. (წლ.—ნ.—8)

**ყოფილი**
**მაშინისტი ელექტრონის**
**სადგურისა**
ეძებს შესაფერ ადგილს, იცის მოხმარება ყოველ გვარ კონსტრუქციის მოტორისა. იცის სასლესრო საქმე. ელექტრონის ზარების შეკეთება და ახლების მოწყობა. ელექტრონის სინათლის გაყვანა. ყოველგვარი საქმე ელექტრონისა. იკითხეთ „დროების რედაქცია"-ში. (5—5)

## ძმ. ა. და ი. ალიხანოვების
● მაღაზიაში ●
გოლოვინის პროსპექტი.
ვაჭრობის შეწყვეტის გამო
## საბოლოო ვაჭრობა

**კაცის საცვალი** დაკლებულია 40%-მდე. **ქალის საცვალი** დაკლებულია 40%-მდე.
**სუფრეული და ტილო** დაკლებულია 30%-მდე.
**ბავშვის საცვალი** დაკლებულია 35%-მდე. **ჩულქები** დაკლებულია 40%-მდე.
**ქალის ხალათები აბრეშუმისა და შალეულისა.** დაკლებულია 50%-მდე და მეტიც.
**საბნები ატლასისა, პიკეისა და შალისა.** დაკლებულია 40%-მდე. (1—ბ.—1)

**წარმოდგენა № 5. ქართული თეატრი წარმოდგენა № 5**
ოთხშაბათს, 11 მარტს, 1909 წ. ქართულ დრამ. საზოგ. ფონდის გასაძლიერებლად წარმოდგენილი იქნება **მხიარული კომედია**
## ალიღუმი
4 მოქმედებად გად. ვ. გუნიას-მიერ.
## ტაიჩი სოვეტნინის სიზმარი
პოლიტიკური ბუფონადა 1 მ.ქ. პოტაპენკოსი თარგ. ხახანაშვილისა.
მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ა. კარგარეთელი, მ. მდივანი, ა. საგინაშვილი, მ. ქილარჯიშვილი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, კ. კუნია, ნ. გვარამე, ა. [illegible]შვილი, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილი-ხამშელი, გ. იმხნელი, კ. მესხი, ი. ქივიძე, შ. საგაროვი, ვ. ურუშაძე, კ. შათირიშვილი, ვ. შალიკაშვილი.
**ადგილების ფასები ჩვეულებრივია. ✦ დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზე.**
მზადდება წარმოსადგენად «ოტელლო», „ორი ჯიბგირი", „ჩერჩეტი", „დღენი ჩვენი ცხოვრებისა".
რეჟისორი **ვ. შალიკაშვილი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**
ადმინისტრაცია დრამატ. საზოგადოებისა.

## ცირკი ძმ. ნიკიტინებისა

სამშაბათს, 10 მარტს, **გუსტავ დეხერტსის ქვრივის სასარგებლოდ** დიდი სადღესასწაულო წარმოდგენა სამ მოქმედებად. მონაწილეობას იღებს ცირკის დირექ. **ემმა ნიკიტინისა**. სხვათა შორის მესამე განყოფილებაში ესე 10½ საათზე. ოთხი საინტერესო **ჭიდაობა**; იჭიდავებენ: 1. **ოსიპენკო და მულდონი**; 2. **პიერარ ლე-კოლოსი და გოოლდი**; 3. **მაისურაძე და მანფრედი ბუჩიონი**; 4. **კრავცოვი და ალეევი.** დაწვრილებით პროგრამებში. დასაწყისი საღამოს 8 ნახევ. საათზე.
(0—2) დირექტორი ცირკისა **აკიმ ალ. ნიკიტინი.**

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ
იყიდება საგანგებოდ, შეკვეთით გამზადებული საუკეთესო აბრეშუმის თესლი, პაპილიანა კაკიდის ფირმისა. სამიწლის ზედიზედ გამოცდილებამ ნათლად გვაჩვენა: ექსმა მისხალმა თესლმა მოგვცა საუკეთესო პარკი სამ ფუთ ნახევრიდან ოთხ ფუთ ნახევრამდის. ფასი ამ თესლისა შედარებით სხვა ფირმის თესლთან იაფია.
ამ თესლის საწყობი არის ბათუმში ფირმის წარმომადგენლებთან: აზილას დიმიტრიადთან და ექვ. ბერძენიშვილთან.
ეს თესლი იყიდება ქუთაისში ნ. ჯანელიძესთან, სამტრედიაში—თედორამძესთან და კაცაძესთან, ოზურგეთში—დ. ცეცხლაძესთან, ჩახატაურში—კ. სიჯარულიძესთან და გ. ცინცაძესთან, ნაგომარში—ა. ნიკოლაშვილთან, კელენჯიხაში—იაკობ. შანავასთან. (23—121—3)

ყოველ კვირეული
სამეცნიერო, საპოლიტიკო და სალიტერატურო ჟურნალი
## იალქანი
გამოვა მარტის 15-დან ლევ. დადეშკელიანის რედაქტორობით. ჟურნალი ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., სამი თვით 1 მან. 60 კ. სამზღვარ-გარეთ წლიურად 8 მან., ნახევარი წლით 5 მან. ცალკე ნომერი ყველგან 10 კაპ.
რედაქციის დროებითი ადრესი: г. Тифлисъ. Типографія „Идеалъ" для „ІАЛКАНИ". ფულის გამოსაგზანი ადრესი: Тифлисъ Гунибская ул. дербентскій пер. д. N 3. редактору „Іалкани" Л. Б. Дадишкеліани. (3—2)

**ქუთაისის სასოფლო სამეურნეო ამხ.**
## „კოლხიდაში"
იყიდება პარიზიდან გამოწერილი **იონჯა** (провансальская люцерны) **შემოწმებული აბრეშუმის გრენი** საიმედო ფირმებისა **„პასხალიდი"** და სხვა ხეხილის ნერგები და სხვა. საჭირო ცნობები და პრეის-კურანტების მიღება შეიძლება გამგე **გ. მ. ჩივაძისაგან.** (20—6—1)

## იყიდება
**მთელი კომპლექტი „ნიშადურისა".** მსურველებს დაეთმობათ 4 მ. 50 კ. ადრესი: „დროების" რედაქციის კანტორა. (3—2)

## „სორაპნის" ამხანაგობის
**გამოცემა**
**მიიღება ხელის მოწერა**
## მოლიერის დრამატიულ თხზულებაზე
## მხოლოდ 13 მარტამდე
ტფილისში წერა-კითხვის, კიკნაძის, „ალიონის" და „ცოდნის" წიგნის მაღაზიებში. პროვინციებში: ყველა გაზეთების გამყიდველ აგენტებთან. **ფასი 25 კაპ.**

**„ტფილისის სობრანიე"**
სამშაბათს, 10 მარტს 1909 წ.
## საოჯახო საღამო
საღამოზე დაუკრავს საზანდარი. სტუმრებს საზოგადო წესით შეუძლიანთ შესვლა. (1—139—1)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე ქუთაისში იღებს შინაგან, საშარდე და ქალთა სნეულობით ავადმყოფებს, აგრეთვე ბეჭიაღებს, ყოველ დღე: დილით 10—1 ს., საღამოთი 6—7 ნახევარ საათ. ლევამოვის ქუჩა, ს. N 29 ჩარექოვისა. (წლ.—ნ.—25)


## ტფილისი, 10 მარტი

უკანასკნელ დღეებში ქართველ საზოგადოების განსაკუთრებულ ყურადღებას იწვევენ ქუთაისის ამბები.

22 თებერვალს, ქუთაისში, გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა კერძო თათბირზე მიიწვია ოციოდე თავადი და აზნაური. ასეთ ჩვეულებრივსა და უბრალო გარემოებას მოულოდნელი შედეგი მოჰყვა: გუბერნიის მთავარ ადმინისტრაციის განკარგულებით, კერძო კრებაზე დამსწრე საზოგადო მოღვაწენი დააპატიმრეს და ადმინისტრატიულის წესით ჩრდილოეთში გადასახლებას უპირებენ. ჩვენს საარაკოდ უუფლებო დროში გასაკვირველი არაფერია, მით უმეტეს გასაკვირველი არ არის თანამედროვე ადმინისტრატიული პრაქტიკა; მაგრამ ამ ხანად ეს ამბავი ისეთ წრეებში მოხდა და ისეთ პირობებში, რომ დიდ ყურადღებას იწვევს საზოგადოებისაგან, რომელიც ბოლო წლებში ყველაფერს შეეჩვია...

წინად, ძველ რეჟიმის ხანაში, აითუნდ პლევეს შავბნელ დიქტატურის ხანაში თავად-აზნაურობა დაუბრკოლებლივ ჰმართავდა კერძო კრებებს. ჩვეულებაც ნებას აძლევდა თავად-აზნაურთა წინამძღოლს—ოფიციალურ კრებამდე მოლაპარაკება გაემართა რჩეულ თავად-აზნაურებთან, კანონიც არ უშლიდა „დეპუტატთა საკრებულოს გაძლიერებული სხდომა" მოეწვია. ამ კერძო კრებებს მაშინ უფრო სთვლიდნენ საჭიროდ, როცა მომავალ ოფიციალურ კრებას რაიმე „საჩოთირო" საგანი ჰქონდა განსახილველი. მაშინდელი ადმინისტრაცია იმ მოსაზრებით ხელმძღვანელობდა, რომ კერძო თათბირზე დარბაისელი თავად-აზნაურნი და საზოგადო მოღვაწენი ფრთხილად, სერიოზულად განიხილავენ საქმეს და ისეთ ფორმაში ჩამოასხამენ და ჩამოაყალიბებენ „საჩოთირო საკითხს", რომ ოფიციალურს კრებაზე არავითარ ექსცესებს ადგილი აღარ ექნებაო.

ასე იყო ძველ რეჟიმის ხანაში, ხოლო ეხლა, 17 ოქტომბრის შემდეგ, განახლებულს წესწყობილებაში, როცა კრების, სიტყვის და სინიდისის თავისუფლებანი იქმნენ აღიარებულნი, სულ სხვა კანონებსა და ადათებს ვემორჩილებით. ეხლა თავად-აზნაურთა წინამძღოლისაც არ შეუძლიან კერძო დახურული თათბირი მოახდინოს პოლიციის დაუკითხავად. ნამდვილი უფლებრივი წესწყობილება დამყარდა, სადაც კანონს ყველა და ყველაფერი ემორჩილება! ჭეშმარიტ-რუსული კონსტიტუციაც ამაში მდგომარეობს...

კერძო თათბირს განუხილავს საკითხი, რომელიც ამ ჟამად მთელ ქართველობას აღელვებს და აშფოთებს: ქართველთა ეკკლესიის და სამღვდელოების უსამართლო დევნა და შეურაცყოფა. რასაკვირველია, კერძო კრებას არავითარი გადაწყვეტილი დადგენილება არ მიუღია და არც შეეძლო მიეღო, მით უმეტეს არ შეეძლო მიეღო ისეთი დადგენილებანი, რომელიც შეარყევდა რუსეთის იმპერიის საფუძველთ ან რამეთი ემუქრებოდა სახელმწიფოებრივ მშვიდობიანობას; მაგრამ, სიტყვისა და სინიდისის თავისუფლებათა აღიარების შემდეგ, დახურულ კერძო კრებაზე წარმოთქმულ სიტყვებსაც „კრამოლას" უწოდებენ და უწყალოდ სდევნიან... ჭეშმარიტ-რუსული კონსტიტუციაც ამაში მდგომარეობს.

მართალია, საკონსტიტუციო ქვეყნებში აღარ იციან, რა არის ადმინისტრატიული გადასახლება და ყოველ შემთხვევაში კანონსა და სამართალს მიჰმართავენ ხოლმე; მართალია, ძველ რეჟიმის დროსაც-კი ადმინისტრატიულ გადასახლებას წინ უძღოდა ხანგრძლივი გამოძიება და თვით გადასახლება ხდებოდა იუსტიციის და შინაგან საქმეთა სამინისტროების და სენატის წარმომადგენელთა განსაკუთრებულ საბჭოს დადგენილებით; მაგრამ ეხლა, განახლებულსა და უფლებრივს რუსეთში, ეს გზა რთულ და გრძელ გზად იქმნა აღიარებული და ადგილობრივ ადმინისტრაციის წარმომადგენელს განუსაზღვრელი უფლება მიენიჭა, ვინც უნდა და სადაც უნდა იქით გაისტუმროს. ვერავისთან ვერც იჩივლებ და არც არავის ნება არა აქვს პირდაპირ ჩაერიოს ამ ახალ დროის დიქტატორთა განკარგულებაში...

სახ. სათათბიროს მემარჯვენეებმა საწადელს მიაღწიეს. მათ შეკითხვის შემდეგ კავკასიის უმაღლესი ადმინისტრაცია „გონს მოვიდა", ფეხქვეშ დაეგო პურიშკევიჩს და სინიდისიერად ასრულებს ყველა მის დირექტივს. არასოდეს, ძველ რეჟიმის უუძნელეს ხანაშიაც, ასეთი ძალმომრეობა და ესოდენი დამცირება არ გამოგვიცდია. საერთო პოლიტიკურს შევიწროებას, რომელსაც მთელი რუსეთი განიცდის, ზედ დაერთო განსაკუთრებული და გაორკეცებული დევნა, რომელიც ჩვენი ქვეყნის წინაშე აღმართეს ჭეშმარიტ-რუს შოვინისტებმა.

## დეპეშები
(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)
9 მარტი

### ბალკანეთი.

**ვენა.** დეპუტატთა პალატა. სამხედრო ბეგარის კანონ-პროექტის განხილვის დროს პარტიებმა იმედი გამოსთქვეს, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო. სლოვენმა დეპუტატმა სთქვა: ჩვენთვის ყველაზე უფრო სასურველია მშვიდობიანობა, რადგან, ომი რომ დაიწყოს, ჩვენ ბრძოლა მოგვიხდება ჩვენი ძმების სერბების წინააღმდეგო. კანონ-პროექტი მიიღეს 289 ხმით 103 ხმის წინააღმდეგ. კანონ-პროექტის წინააღმდეგნი იყვნენ სოციალისტები და ჩეხი-რადიკალები.

როგორც „კორესპ. ბიუროს" სალონიკიდან ატყობინებენ, ოსმალეთს ნება დაურთავს სერბიისათვის, გადაიტანოს ის სამხედრო მასალა და დინამიტი, რომელიც „კრიმეს" და „ორხის"-ის გემებით მოვიდა. უარი ეთქვა სერბიას იმ საქონლის გადაზიდვაზე, რომელიც „ხარან"-ის გემით მოვიდა.

**ბელგრადი.** ოფიციალურ ორგანოში „სერბსკია ნოვოსტი"-ში დაბეჭდილ ცნობით, სერბიის მთავრობა გადაჭრით უარჰყოფს იმ ხმებს, ვითომ სერბების რაზმებს დაეწყოთ მოქმედება ნოვობაზრის სანჯაყში.

**ბუდაპეშტი.** ოფიციალურ გაზეთში გამოქვეყნებულია მთავრობის განკარგულება, რომელიც უკრძალავს გაზეთებს ისეთ ცნობების დაბეჭდვას, რომელიც შეეხება ჯარის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანას, სიმაგრეების და ციხეების მდგომარეობას და ადგილ მდებარეობას, ჯარის რაოდენობას და სამხედრო თადარიგს. არც ის უნდა გამოქვეყნდეს, თუ სად აწყვია სურსათი, სად იგზავნება ან რა თვისებისაა.

**ბერლინი.** „ფრანკფურტ-ცაიტუნგის" ბერლინელი კორესპონდენტი სწერს: ბერლინში იმის მოლოდინის შიში არ არსებობდა მაშინაც-კი, როდესაც სხვა სატახტო ქალაქებში იმის მოლოდინის გამო საფიქრებელს იყვნენ მიცემულნი. გერმანიის პოლიტიკა მარტო ავსტრიის დახმარებაში არ გამოიხატებოდა. გერმანიას ჩუმადა ჰქონდა მოლაპარაკება გამართული სხვა სახელმწიფოებთან კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. გერმანია მზად იყო სხვა სახელმწიფოებთან ერთად ემოქმედნა სერბიაზე, მაგრამ რუსეთის მინისტრმა იზვოლსკიმ ხელი შეუშალა იმით, რომ თვითონ დამოუკიდებლად მიმართა სერბიას. „ფოსიშე ცაიტუნგი" ამბობს: შინაური მდგომარეობა სერბიისა ისეთია, რომ შეუძლებელია საქმე მშვიდობიანურად დაგვირგვინდესო.

**ბერლინი.** „ფრანკფურტერ ცაიტუნგი" სწერს: სახელმწიფოებმა სურვილი გამოსთქვეს, რომ ავსტრიის პასუხის გაცემის ვადა სერბიის ნოტაზე გადადებულ იქმნას სხვა დროისათვის, რომ ამ ხნის განმავლობაში მოლაპარაკება გამართონ როგორც სერბიასთან, ისე ავსტრიასთან. გრაფი ერენტალი, უეჭველია, პასუხს მალე წარუდგენს სერბიას.

**ვენა.** „კორესპ. ბიურო"-ს ატყობინებენ ბელგრადიდან: ისეთის ინტერესებით აღარ მოელიან ავსტრიის ახალ ნოტას, როგორც აქამდე. ეს იმიტომ, რომ გაზეთებმა გამოაქვეყნეს სახელმწიფოების გადაწყვეტილება სერბიასთან მეგობრულ მოლაპარაკების გამართვის შესახებ. რაკი სახელმწიფოები შუამავლობას კისრულობენ, ყველა დამშვიდებულია, რადგან ავსტრიის დამოუკიდებლად მხნე ნაბიჯს გადადგმას აღარ მოელიან. სახელმწიფოების შუამავლობის იმედი აქვთ. სერბია ყოველთვის აცხადებდა, რომ მხოლოდ სახელმწიფოებს შეუძლიათ ანექსიის საკითხის გადაწყვეტა და ეხლაც დაემორჩილება იმას, რასაც სახელმწიფოები გადასწყვეტავენ. სერბია დარწმუნებულია, რომ ევროპის კონფერენცია ისეთ რეზოლიუციას შეიმუშავებს ბოსნიის საკითხის შესახებ, რომელიც, ერთის მხრივ, სამართლიანობის გამომსახველი იქნება, ხოლო მეორეს მხრივ უზრუნველ ჰყოფს ევროპის მშვიდობიანობას არა მარტო ეხლა, არამედ მომავალშიაც.

### ოსმალეთი

**კელნი.** „კელნ. ცეიტუნგს" სტამბოლიდან ატყობინებენ: ეგვიპტესა და ოსმალეთის მთავრობებმა შეიმუ-

შავეს პროექტი რკინის გზისა, რომელმაც უნდა შეაერთოს ეგვიპტე და სირია. რკინის გზა გაივლის სუეცის არხის გვერდით, გადასჭრის სინაის უდაბნოს ჩრდილოეთ ნაწილს და მივა იერუსალიმს.

**სტამბოლი.** საერთო გაფიცვაა გემის დამტვირთველ-გადამტვირთველებისა ნავთსადგურში. სანაოსნო საგენტოებს ჯარი იცავს.

პალატაში მთავრობას შეეკითხნენ არაბეთის არეულობების შესახებ. შინაგან საქმეთა მინისტრის წარმომადგენელმა ადილ-ბეიმ განაცხადა: მექქაში არეულობა იმიტომ მოხდა, რომ მცხოვრებნი უკმაყოფილონი არიან ახალის რეჟიმისა. ეხლა იქ მშვიდობიანობაა. 28 კაცი დაპატიმრებულია. ამ არეულობით ისარგებლეს ყაჩაღმა ტომებმა და მექქასა და მედინას შუა მლოცველებს დაეცნენ. დაეცნენ თვით მედინასაც. ასეთი ამბები ეხლაც ხდება, რადგან ჯარი საკმაოდ არ არის გაძლიერებული გადაწყვეტილია, გავგზავნოთ იქ ჯერ ოთხი და მერე ექვსი პოლკიო. კამათის დროს გამოირკვა, რომ ყაჩაღობა გაჭირვებით არის გამოწვეული. პალატა დაკმაყოფილდა მთავრობის განმარტებით.

## საზღვარ-გარედ.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. მთავრობას შეეკითხნენ ფოსტა-ტელეგრაფის გაფიცვის შესახებ. საფოსტო უწყების გამგემ სიმიანმა განაცხადა: არც მთავრობა და არც მე კერძოდ დამნაშავენი არა ვართ იმაში, რომ დაირღვა კარგი განწყობილება მთავრობასა და მოხელეების შორის მე ყოველთვის სისრულეში მომყავდა მოხელეთა დასაბუთებული მოთხოვნილებანიო. მინისტრმა ბარტუმ სთქვა: მოხელეების გაფიცვა, საზოგადოდ, შეუძლებელია; ახლანდელ გაფიცვის გამართლება ხომ სულ არ შეიძლება. მოხელენი რევოლიუციონურ გზას დაადგნენ. ისინი მთელი ერის წინააღმდეგ მოქმედებენ და მთავრობას ხელ-ფეხი შეუკრეს მაშინ, როდესაც საჭირო იყო ელჩებთან განუწყვეტელი გამოლაპარაკება. თუ მოხელენი თავიანთ მოვალეობას არ დაუბრუნდებიან, მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებსო. პალატამ დაადგინა, გაეკრას ყველგან ბარტუს სიტყვა. რამდენმამე ორატორმა გაფიცულ მოხელეთა სასარგებლოდ ილაპარაკა. პალატამ (368 ხმით 211 ხმის წინააღმდეგ) შემდეგი ორმული მიიღო: „პალატა ადგენს, ნება არ მიეცეთ მოხელეებს გაფიცვისა. პალატას სჯერა, რომ მთავრობა აღადგენს მშვიდობიანობას და წეს-რიგს ფოსტა-ტელეგრაფის და ტელეფონის საქმეში“.

## რუსეთი

**პეტერბურგი.** ოლქის სასამართლომ განიხილა საქმე გაზეთ „სევოდნიას“ რედაქტორების კოგონის და გოროდცევისა მათ ნაფიცი ვექილი ბულაცელი („ჭეშმარიტ რუსთა კავშირის“ წევრი) აბრალებდა ლანძღვას და ცუდად მოხსენებას. სასამართლომ რედაქტორებს გადაუწყვიტა დაპატიმრება თითოს წლითა და ოთხის თვით და, ამას გარდა დაჯარიმება ხუთას-ხუთას მანეთით.

სახ. სათათბიროს იმ კომისიამ, რომელსაც გადაცემული აქვს საკითხი პიროვნების ხელ-შეუხებლობის შესახებ, განიხილა მთავრობის მიერ შემუშავებული დებულება საგანგებო წესებისა. მთავრობამ მიიღო დებულების მე-28 და 29 მუხლები. მე-28 მუხლს კომისიამ თავისით შენიშვნა დაუმატა. ამ შენიშვნაში ნათქვ-მია: იქ, სადაც განსაკუთრებული წესებია, კანონში აღნიშნულ შემთხვევებს გარდა, სიკვდილით უნდა დაისაჯოს. ისიც, ვინც შემჩნეულ იქნებიან პოლიტიკურ მკვლელობებში ან ვინც პოლიტიკურის მიზნით ჩაიდენს ყაჩაღობას და ასაფეთქებელ ნივთიერების საშუალებით აიკლებს სხვის ქონებას.

სინოდში შესდგა კომისია. ამ კომისიამ უნდა განიხილოს ის პროექტი, რომელიც შეეხება უქმე დღეების შემცირებას. ეს პროექტი სახელმწიფო საბჭოში შეიტანა საბჭოს 35 წევრმა.

**პავლოგრადი.** ადიდებული მდინარე ქალაქის ქუჩებს მოედო. ზარალი შესამჩნევია. წყალი მოედო აგრეთვე რამდენსამე სოფელს.

**პეტერბურგი.** სენატმა დაადგინა, დანიშნოს წინასწარი გამოძიება, იურიევის უნივერსიტეტის რექტორის პასსეკის მოქმედებათა გამოსარკვევად.

**პეტერბურგი.** ოქტომბრისტების ფრაქციამ განიხილა მემარჯვენეთა ფრაქციის რეზოლიუცია მარკოვისა და ხომიაკოვს შორის მომხდარ კონფლიკტის გამო და თავის მხრივ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო: „ხომიაკოვი დიდს სამსახურს უწევდა და უწევს სათათბიროს მუშაობის ნაყოფიერ მსვლელობას. ყველა, ვინც კი მოსურნეა სამშობლოს მშვიდობიანურ განვითარებისა და წარმატებისა, პატივსა სცემს ხომიაკოვს. მემარჯვენეთა ფრაქციის ზოგიერთა წევრები ხშირად სამწუხარო ინციდენტების ამშლელნი ყოფილან და რასაკვირველია, თავმჯდომარეს ხშირად მოუხდებოდა ხოლმე ზომების მიღება. ამ ზომებს მემარჯვენეთა ფრაქცია სულ სხვა მნიშვნელობას აძლევს. მას სურთ დანაშაულება თავიდან გადაიცდინოს და მოახვიოს თავმჯდომარეს, რომლის წინააღმდეგაც ყოვლად შეუფერებელ აგიტაციას ეწევა. ეს აგიტაცია ვერავის აუხვევს თვალს. უკანასკნელი რეზოლიუცია მემარჯვენეთა ფრაქციისა მეტად შემძრწუნებელი ნაბიჯია თავმჯდომარის წინააღმდეგ. ეს რეზოლიუცია ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორ მოურიდებლად, უტიფრად იქცევა მემარჯვენეთა ფრაქცია. იგი პარტიულ ფანატიზმით არის გამსჭვალული და ყოველნაირად სცდილობს სახელი გაუტეხოს პატივცემულ თავმჯდომარეს. მიუდგომელი რუსეთი დააფასებს მემარჯვენეთა საქციელს ღირსეულად და თავის საკუთარ სახელსაც უწოდებს მას“. პროგრესიული ჯგუფი და პოლონელთა კოლო მიემხრო ამ რეზოლიუციას.

**რიგა.** სამხედრო სასამართლომ გაარჩია საქმე ლატიშთა სოციალ-დემოკრატიულ პარტიის რაიონის კომიტეტის 45 წევრისა. სასამართლომ 27 ბრალდებულს მიუსაჯა კატორგა სხვა და სხვა ვადით, შვიდს სამუდამო გადასახლება, ათი ბრალდებული-კი გაამართლა. ერთი საქმის გარჩევამდე სადღაც მიიმალა.

**უფა.** სასამართლო პალატამ გაარჩია საქმე 1906 წელს სადგურ მინიარზე მომხდარ მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციის შესახებ. დემონსტრაცია გამართეს მაშინ, როდესაც ჯარი ახლად გაწვეულნი დანიშნულ ადგილს გროვდებოდნენ. პალატამ ერთ ბრალდებულ ქალს მიუსაჯა ექვსი თვით დაპატიმრება, ორსამისა, ხოლო ერთს—ორი თვით.

**სარატოვი.** ცარიცინში წელს პირველად აღმოჩნდა ხოლერიანი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამის განმავლობაში ხოლერით ავად გახდა 5, გარდაიცვალა ერთი კაცი. საავადმყოფოში 109 ხოლერიანია.

უეცრად გარდაიცვალა თავადი ხილკოვი, ყოფილი საგზაო მინისტრი.

## რა გამოაქვეყნა სენატორის გარინის რევიზიამ?

მკითხველებს მოკლედ უკვე გავაცანით მოსკოვის ყოფილ გრადონაჩალნიკის რეინბოტის საქმენი საგმირონი. სენატორ გარინს, რომელმაც მოსკოვის რევიზია მოახდინა, სენატისთვის უკვე წარუდგენია მოხსენება. თავის მოხსენებაში გარინი უმთავრესად გენერალ რეინბოტს და იმის თანაშემწეს პოლკოვნიკ კოროტკის აქცევს ყურადღებას. როგორც ვიცით, ზემოდ აღნიშნულ პირებს უმთავრესად მექრთამეობა ჰბრალდებათ. საქმე იმაშია, რომ რეინბოტი და პოლკოვნიკი კოროტკი „საქველმოქმედო მიზნით“ პირდაპირ სძარცვავდნენ ხალხს. სენატორი გარინი რეინბოტზე სწერს, რომ რეინბოტი საქველმოქმედო საქმეებისთვის აღებულ ფულიდან მარტო ერთ მეხუთედს ახმარებდა ქველმოქმედებას, დანარჩენს კი ჯიბეში აჩხრიალებდაო.

თუ როგორ იღებდა გენერალი რეინბოტი ფულს „საქველმოქმედო მიზნისთვის“ შემდეგის მაგალითებიდანა სჩანს: ვიღაც კუჩეროვს რესტორანი ჰქონია. ერთ საღამოს ბრძანება მიუღია, თქვენ რესტორანში ორი ბავშვი უნახავთ, მიტომ გრადონაჩალნიკმა გადასწყვიტა, 11 საათს იქით ვაჭრობა მოგესპოთო. „მეო, უთქვამს კუჩეროვს სენატორ გარინისთვის, ძალიან შემაწუხა ამ ამბავმა, რადგან სწორედ 11 საათის შემდეგ მაქვს ვაჭრობა; იმ წამსვე ტარბეევს (ნაფიც ვექილის თანაშემწე, რომელიც სპეციალურად რეინბოტთან აკეთებდა საქმეებს) მივმართე, რომელმაც მითხრა, საქველმოქმედო საქმისთვის უნდა შეიტანო რამე, თორემ არა გაკეთდება-რაო. წავედით გრადონაჩალნიკთან. ტარბეევი რეინბოტის კაბინეთში შევიდა და ასე 10 წუთის შემდეგ გამოვიდა და მითხრა, გრადონაჩალნიკი გიბარებსო. ცოტა ლაპარაკის შემდეგ ამოვიღე 1000 მანეთი და გადავეცი „საქველმოქმედო საქმისთვის“. არავითარი ბარათი არ მოუციაო. ასევე ექცეოდა რეინბოტი კლუბებს. მაგალითად, „ნემეცების“ კლუბის“ დირექციის თავმჯდომარე ექიმი ბიტტი ყოველ თვე რეინბოტს 300 მანეთს აძლევდა.

საინტერესოა ბოქაულის თანაშემწის ფეოდოროვის ამბავი, „ნემეცების კლუბში“ ფეოდოროვს 1600 მანეთი ხაზინის ფული წაუგია ბანქოში. გენერალ რეინბოტს გადაუწყვეტია, ფეოდოროვი სამართალში მიეცა რადგან კლუბს ამის შემდეგ ცუდის თვალით დაუწყებდნენ ცქერას, კლუბის დირექციას გადაუწყვეტია, თვითონ გადაიხადოს 1600 მან. კლუბს გრადონაჩალნიკთან მოსალაპარაკებლად ექიმი ბიტტი გაუგზავნია. გრადონაჩალნიკს ექიმისთვის გადაუცია, რომ არაფრის გულისთვის არ დავთანხმდები, ფეოდოროვი უსათუოდ სამართალში უნდა მივცეო. მაგრამ პატარა ხანს უკან ფული აუღია. საზოგადოდ კლუბებს დიდძალ ფულს ართმევდა გრადონაჩალნიკი. მოსკოვში მრავალი ბანქოს სათამაშო კლუბია, სადაც ყველა ჯურის შულერები იკრიბება. ეს კლუბები დიდძალ ფულს აძლევდნენ რეინბოტს „საქველმოქმედო მიზნისთვის“. რომელი კლუბიც გაურჩებოდა, ხელად მიჰკეტავდა. ასევე ექცეოდა საროსკიპო სახლებს, რესტორნებს და სხვებს. როგორც სენატორ გარინის რევიზიამ აღმოაჩინა, რეინბოტი ბოლო დროს აღარაფერს აკეთებდა და არტისტ-ქალ რეინგარტთან ერთად ქალაქ გარეთ ბაღებში და საქეიფო ადგილებში ატარებდა დროს, რისთვისაც დიდი ფული სჭირდებოდა. ფულის შემოსავალის წყაროდ კი „საქველმოქმედო მიზანი“ გაიხადა.

უარეს საქმეებს ჩადიოდა რეინბოტის თანაშემწე პოლკოვნიკი კოროტკი. გრადონაჩალნიკის მეორე თანაშემწის პეტროვის სიტყვით, კოროტკის სამსახურში შესვლისთანავე, უმთავრესი ყურადღება ტრაქტირ-რესტორნებისა, საროსკიპო სახლებისა და კლუბებისთვის მიუქცევია, რადგან სწორედ აქედან აქვთ პოლიციელებს შემოსავალი. ერთ საროსკიპო სახლის პატრონს სმირნიკოვს სენატორ გარინისთვის გადაუცია; „კოროტკის მოსვლისთანავე, ჩვენში ხმა გავარდა, თუ გინდათ თქვენმა სახლებმა იარსებონ, კოროტკისთან უნდა იმუამდგომლოთ და საქველმოქმედო მიზნისთვის ფული შეიტანოთო. ჩვენც, საროსკიპო სახლების პატრონებმა, კოროტკის მივმართეთ და „საქველმოქმედო მიზნისთვის“ ზოგმა 200, ზოგმა 300 მანეთი შევიტანეთო“. ერთხელ კოროტკის მეტრაქტირე ივანოვი დაუბარებია და უთქვამს, თქვენ ტრაქტირში ბანქოს თამაშია (ნება დართული ყოფილა), ტრაქტირი დაიხურებაო. ბევრი ლაპარაკის შემდეგ კოროტკის განუცხადებია, თუ გინდა არ დაიკეტოს, „საქველმოქმედო მიზნისთვის“ 100 მანეთი შემოიტანეო. ივანოვს, რა თქმა უნდა, აუსრულებია. ორი კვირის შემდეგ ხელმეორედ დაუბარებია და 200 მანეთი „შეუწირვინებია“. და ასე თვეში ერთხელ მაინც ჰკეტავდა.

რესტორან „ელდორადოს“ პატრონს თხოვნა მიუცია გრადონაჩალნიკისთვის, ნება მომეცი დილის 5 საათამდის ვივაჭროვო. გრადონაჩალნიკს რესტორანის პატრონი კოროტკოსთან გაუგზავნია. მისი საქმეო. რესტორანის პატრონს შესვლისთანავე 1000 მანეთი მიუცია „საქველ-მოქმედო მიზნისთვის“, მაგრამ კოროტკის არც ფული აუღია და არც ნებართვა მიუცია და შემდეგ კი 3,000 მანეთი აუწაპნია. უფრო მეტი შემოსავალი კოროტკის კლუბიდან ჰქონია რაც რეინბოტი და კოროტკი დაუნიშნიათ მოსკოვში, ძალზე გამრავლებულან კლუბები, სადაც უმთავრესად ბანქოს თამაშს მისდევდნენ თურმე. კოროტკის ერთი კლუბი დაუკეტნია. მისულა ბოქაული და გამოუცხადებია, გრადონაჩალნიკმა აკრძალა ბანქოს თამაშიო კლუბის გამგეებს, ბევრის თათბირის შემდეგ, გადაუწყვეტიათ მიმართონ პოლკოვნიკ კოროტკის. კოროტკის კერძოდ [illegible] იმ პირობით კი, რომ კლუბს „საქველ-მოქმედო მიზნით“ თვეში 500 მან. ეხადნა. კოროტკის განუზრახავს მეორე კლუბის დაკეტვა. პატრონს მოსვლისთანავე 250 მ. გადაუცია და თვიურ გადასახადის შეტანაც აღუთქვამს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ კოროტკის არც იმ კერძო პირიისთვის დაუკლია, რომლებიც ქველმოქმედებით იყვნენ ცნობილნი. გარჩევა მხოლოდ ის არის, რომ კლუბებს რესტორანებს და სხვებს იძულებით ართმევდა, კერძო ქველმოქმედებს კი მოტყუებით. მაგალითად, ქველმოქმედ მდიდარ ვაჭარ გალტიშჩევსთვის კოროტკას შეუჩივლია, იმდენი ხალხი მოდის, რომ ვერ ავუვართ, ფული არა გვყოფნის და ჩვენი ჯიბიდან გვიხდება მიცემა, მაგრამ ხომ იცით, რა ჯამაგირი გვეძლევაო. გალტიშჩევს ამაზე განუცხადებია, თქვენ ფული მიეცით ხოლმე ანგარიში წარმომიდგინეთ და მე გადავიხდიო. კოროტკის, რა თქმა უნდა, უსარგებლნია ამითი. კოროტკასვე ჩაუჯიბავს ის 600 მანეთი, რომელიც რეინბოტს საშობაოდ მისთვის გადაუცია მოსამსახურებისთვის დასარიგებლად.

შეუძლებულია ყველა იმის ჩამოთვლა. რაც პოლკოვნიკ კოროტკის ჩაუდენია. კოროტკი გრადონაჩალნიკის თანაშემწედ სულ ხუთი თვე და რამდენიმე დღე ყოფილა და ამ ხნის განმავლობაში რამდენიმე ასი თუმანი ქრთამი აულია. ასე მზრუნველობს პოლიცია ხალხისთვის!

# ახალი ამბავი

## ტფილისი

**✦ თათბირს ნება არ დართეს.** შაბათს, 7 დეკემბერისთვის ტფ საბჭოს ხმოსნების კერძო თათბირი იყო დანიშნული ტფილისში გახშირებულ ძარცვა-გლეჯის შესახებ მოსალაპარაკებლად. რადგან კავკასიის უმაღლესმა მთავრობამ ნება არ დართო თათბირსა, ხმოსნებს არსებითად საკითხის გამო ხმაც არ ამოუღიათ. თავმჯდომარემ აცნობა ხმოსნებს, რომ ნამესტნიკმა ნება დართო აღნიშნულ საკითხის შესახებ გაიმართოს სხდომა გუბერნატორის თავმჯდომარეობით. ამასთან გუბერნა-

# ფელეტონი

## მგზავრის შენიშვნები

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

**ოსმალეთის პარლამენტი.—ევროპა.—ბალკანეთი.**

(შემდეგი *)

არის კიდევ გარეშე მიზეზები, რომელნიც ოსმალეთს ვერ შეუწყობენ ხელს. ორია უმთავრესი: ბალკანეთის ერები და თვით დიდი ევროპა. სანამ ოსმალეთის მთელი საზოგადოება სოციალურად ჰომოგენური არ გახდება—იგი ვერ შეებრძოლება ვერც ბალკანეთის ხალხებს, რომელნიც თანდათან ვითარდებიან, და, მეტადრე, ვერც ევროპას. ეს არ უნდა დაივიწყოს არც ერთმა ოსმალომ. ოსმალეთი არ არსებობს სოციალურად, ეს ფაქტია. ოსმალომ უნდა შექმნას ოსმალეთის სოციალური ორგანიზმი და მხოლოდ ამ ძლიერ ორგანიზმს შეუძლიან დიდ მტერთა წინაშე წარსდგომა და თავის არსებობის სერიოზულად დაცვა. თორემ მუდამ საეჭვო ოპეკუნობაში მყოფ საზოგადოების სიცოცხლე ხანგრძლივი არ არის, ვინაიდან იგი სრულ-წლოვანებას ველარ აღწევს და, მაშასადამე, იგი მართლაც „ავადმყოფი“ ყოფილა!..

უპირველეს ყოვლისა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ოსმალები ევროპაში შედარებით გუშინ მოსულნი არიან. ისინი მოვიდნენ აზიიდან და ძალით დაიპყრეს ევროპის საუკეთესო ნაწილი მაშინ, როდესაც ევროპეიზმი უკვე ჰყვაოდა, როდესაც ევროპის ხალხები უკვე გაცხარებულ მუშაობაში იყვნენ აღორძინებინათ თავიანთი ახალი ცივილიზაცია, რომელიც პირდაპირი განგრძობა იყო ძველის, უკვე განსვენებულ რომისა და საბერძნეთის ცივილიზაციისა. ევროპის ახალ ცივილიზაციის შექმნაში ქრისტიანობის ელემენტი უდიდესი იყო, შეიძლება არა მის სიდიადის განზომის თვალთსაზრისით, არამედ მისის თავისებურობის შექმნის თვალსაზრისით, და სწორედ ამიტომ იყო ოსმალების შესევა ევროპაში იმავე დროს ისლამის მიერ ბრძოლის გამოცხადება ქრისტიანობის წინააღმდეგ. ორი დიდი ქვეყნის, ორი დიდი კულტურის შეტაკებას მოასწავებდა ოსმალთაგან ევროპის დაპყრობა. და ამიტომ მართლაც გიგანტიური იყო ბრძოლა თურქებისა ერთის მხრით და ბერძენთა, სამხრეთ სლავიანეთა, ჰუნგრელთა, ავსტრიელთა, პოლონელთა, იტალიელთა და ერთი სიტყვით, თითქმის მთელის საქრისტიანო ევროპისა, მეორე მხრით. როგორც ვიცით, გამარჯვება ჯერ თურქებს დარჩათ. დაიპყრეს საბერძნეთი, სერბია, ბოლგარეთი, რუმინიის ხალხი. სძლიეს ჰუნგრეთსა, დაამარცხეს ავსტრიელები, პოლონელები და მივიდნენ ვენამდის, მაგრამ აქ შეერთებულმა ძალმა გერმანელთა, პოლონელთა და სხვა სლავიანთა სძლია თურქთა ძალას და ისინი იძულებულნი იყვნენ დაბრუნებულიყვნენ უკან. ამის შემდეგ იწყება მათი მფლობელობის თანდათანი შევიწროება ევროპაში. გაძლიერებული რუსეთი ხომ საუკუნო მტრად გადაეკიდა ოსმალეთს და საერთო ევროპის ძალას ისიც მიემატა ოსმალეთისათვის საუბედუროდ. ნელ-ნელა განთავისუფლდნენ მათის მფლობელობისაგან ევროპიელები. რუსეთის ძლევა-მოსილმა ომებმა ბალკანეთის სლავიანეთა განთავისუფლებასაც ხელი შეუწყო, და ასე ნელნელა ოსმალეთი ისე შეზღუდეს ევროპაში, რომ მცირეოდენი ლა ტერიტორია შეარჩინეს—სტამბოლითურთ, მართალია, მაგრამ მაინც მცირეოდენი. განთავისუფლდა საბერძნეთი, სერბია, ბოლგარია და რუმინია ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ. ზევით კი ხომ გაძლიერებულ ავსტრიის სამფლობელო იყო, რომლის სატახტო ქალაქამდის კვლავ მისვლა ოსმალეთს რუსეთის გაძლიერების შემდეგ ფიქრადაც არ მოუვიდოდა. თვით ბალკანეთში დაარსდა დამოუკიდებელი საქრისტიანო სახელმწიფოები, და ამდენი ხნის ბრძოლა იმითი გათავდა, რომ ოსმალეთი, ისლამი ძლეულ იქმნა სრულიად საქრისტიანო ევროპისაგან. წინანდელი საქრისტიანო პროვინციები დღეს მას მეზობელ და მეტოქე სახელმწიფოებად გადაექცნენ დანულამდის მიჰყავდათ მისი სიძლიერე ევროპაში. ეხლა კი, მაგალითად, ბოლგარია, რომითაც კი ემუქრება, ლიარებს რა თავის-თავს სრულიად დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, და ზოგიერთი წინ-დახედული თურქი ამბობს კიდეც—გავჩერდეთ, თორემ ბოლგარელებს შეუძლიანთ თვით სტამბოლშიაც კი ააფრიალონ თავიანთი დროშაო. ეს კიდევ რა— ბალკანეთის სახელმწიფოებმა ისეთი ძალა იგრძნეს, რომ რაც ევროპის ოსმალეთში დარჩენილი მათი ერთვენების ხალხია, მათი განთავისუფლებაც უნდათ, და ყველამ იცის აკი, თუ რა ამბავია მაკედონიაში, რამდენი სისხლი დაღვრილა მაკედონელისა, ბოლგარელისა, ბერძნისა და სხვათა. მაკედონიის საკითხი რომ ღვთის რისხვად აქვს მოვლენილი ოსმალეთს, ეს მარტო სახელმწიფოთა „ინტერესებითა“ და „ძალდატანებით“ კი არ აიხსნება, არამედ შეიძლება უმთავრესად იმითი, რომ ბალკანეთში საქრისტიანო სახელმწიფონი არსებობენ, რომელნიც ერთდროს ოსმალეთის ქვეშევრდომნი იყვნენ, რომელნიც ეხლა თავისუფალ განვითარებას ეძლევიან, და რომელთაც ეხლა შეუძლიანთ ხმა ამოიღონ თავიანთ დაჩაგრულ ძმათათვის, ოსმალეთში რომ არიან დარჩენილნი. და არც მოისვენებენ მანამდე, სანამ ერთი თურქი დარჩება მათ ეროვნულ ტერიტორიაზედ. აი რაშია საქმე უმთავრესად.

თურქთა და სლავიანთა შერიგება შეუძლებელია. ერთობ დიდი განსხვავებაა მათ ენასა, მათ ისტორიასა, უპირველეს ყოვლისა მათ სჯულსა და ერთობ სოციალურ ცხოვრების შორის. დროებით შეიძლება ზერელე დიპლომატიურ ნიადაგზე ერთობა, კავშირი და შეთანხმება, მაგრამ ნამდვილად ყოველივე ეს ხიმერაა, და ადრე თუ გვიან მათ შორის ბრძოლამ ისევ უნდა იფეთქოს. ძველი ბრძოლა ჯერ არ გათავებულა. ეს ისეთი ბრძოლაა, რომ ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე, ორთავეს თანხმობით არსებობა შეუძლებელია. და კერძოდ, თვით მაკედონიის საკითხის გადაწყვეტა შესაძლებელია, სანამ თურქი იბატონებს ამ ქვეყანაში?.. ესეც ძნელი საკითხია! დიახ, ყოველი ნაბიჯი სერბიისა, ბოლგარიისა, რუმინიისა, საბერძნეთისა და ჩერნოგორიისა, თუ ალბანელებიც მათ მიემხრნენ ოდესმე—მათ მიერ წინ-წადგმული გაძლიერებისაკენ და განვითარებისაკენ—შავი ღრუბელია ევროპის ოსმალეთის პოლიტიკურ ჰორიზონტზე, და მომავალ აუცილებელ შეტაკებას ვერავითარი ძალა ვერ შეაჩერებს, გარდა შესაძლებელ საერთაშორისო, დიდ სახელმწიფოთა ომისა, რომელსაც ვინ იცის როგორ შეუძლია შესცვალოს მთელი ევროპის პოლიტიკური კარტა.

სერბია დღეს სუსტი და ღარიბია სხვა სახელმწიფოებთან შედარებით. იგი „მეორეთა“ სახელმწიფოა, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს არასოდეს, რომ სერბიის ხალხი მარტო სერბიის სახელმწიფოში არა სცხოვრობს. ავსტრიის ხალხთა შორის, გერმანელთა და ჰუნგრელთა გარდა, სერბიის ელემენტი უდიდესია. მათ შორის უკვე ღვივის ეროვნული გრძნობა. მათი იდეალი—ერთ დიდ სერბიის სახელმწიფოს დაარსებაა, და არასოდეს ასეთი იდეალი ხიმერა არ არის ისეთი ხალხისათვის, რომელსაც აქვს საკმაოდ განვითარებული ეროვნული თვით-შეგნება, რომელსაც შერჩენია მიწა-წყალი, ენა და კულტურა. პატარა „მეორე“ სერბიაც კი დღეს ისეთ ამბავშია, რომ ლამის არის ავსტრია შეაშინოს. იგი „შვეიცარიობას“ არ სჯერდება, იგიც ზღვისკენ მიიწევს, თითქოს დიდი სახელმწიფო იყოს, და აკი მთელი ქვეყანა ააყაყანა თავის „სამართლიან მოთხოვნათა“ შესახებ! ეკონომიურად იგი მდიდარი არ არის, მაგრამ ღორი და სხვა საქონელი მაინც იმდენი ჰყავს, რომ აკმაყოფილებს ავსტრიის ბაზარს, და ავსტრიასაც სერბიაში ნაყიდი საქონელი სხვაგან გააქვს, იმდენი შეუძლიან სერბიას აშენოს სხვა და სხვა გვარი ოთხფეხი. როდესაც მას ავსტრიასთან ცოტა აყალ-მაყალი მოუვიდა 1906 წელს, როდესაც „ღორების ომი“ გამოცხადდა, სერბიამ მოიგო ომი იმით, რომ თვით საფრანგეთში გაიხსნა ბაზარი თავის უმთავრეს საქონლისა. ეხლაც იგი ავსტრიასთან ჩხუბს კალითა და საერთა-შორისო პროვოკაციით არას იგებს, თუ არას იგებს, რადგან ავსტრიისა და სერბიის ომი საერთა-შორისო ომად გახდება, ამას კი სახელმწიფოები უფრთხიან, და სერბიას რა ენაღვლება,—მეტი ყვირილით თუ არას მოუგებს მომავალ საერთაშორისო კონფერენციაზედ, რას წააგებს. ასეთია დღეს მისი სიამაყე და რაღა იქნება მაშინ, როდესაც მთელი სერბიის ხალხი ერთ ერად შეერთდება. სერბია, ჩერნოგორია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ავსტრიის სერბები სხვა და სხვა სახელმწიფოებისა,—ეს ერთ დიდ სლავიანთა სახელმწიფოს შეადგენს, და მათი ერთო-

*) იხ. „დროება“, N 53.

...ტორს შეეძლება მიიწვიოს კრებაზე ...ძინი, ვისაც მოისურვებს, როგორც ხმოსნები, ისე სხვანი. ხმოსნებმა ამაზე იქონიეს თათბირი, მაგრამ ვერავითარ გადაწყვეტილებას ვერ დაადგნენ.

**✦ დაკეტილ დუქნების შესახებ.** გუშინ ტფ. გენერალ-გუბერნატორმა შეუთვალა ქალაქის თავის მოადგილეს ა. ი. ხატისოვს, საბჭოს განსახილველ საქმეთა სიიდან ამოირიცხოს ის მოხსენება გამგეობისა, რომელიც შეეხება ქალაქის სხვა და სხვა უბანში ახლად დაკეტილ სამიკიტნო-სარდაფების ხელ-ახლა გაღებას. როგორც აღვნიშნეთ ქალაქის მიკიტნები და მეტრაქტირე-მესარდაფენი სთხოვენ გამგეობას შუამდგომლობას ადმინისტრაციის წინაშე დაკეტილ დუქნების გაღების შესახებ.

**✦ კიტა აბაშიძე.** ქუთაისში თავად-აზნაურთა კერძო თათბირის გამო ქუთაისის გენ.-გუბერნატორმა დაადგინა სხვებთან ერთად კიტა აბაშიძის დაპატიმრება და გადასახლებაც. კიტა აბაშიძე ამ დროს ტფილისში იყო ჩამოსული თავის ოჯახში. აქ ავად გახდა ინფლუენცით, მაგრამ, როცა გაიგო ამბავი, მაინც გადასწყვიტა ქუთაისში წასვლა. შაბათ საღამოს აპირებდა წასვლას, მაგრამ დილით ქუთაისიდან ჩამოსულმა პოლიციის აგენტმა დააპატიმრა; საგუბერნიო საპატიმროში დაამწყვდიეს და გენ. სლავოჩინსკის განკარგულებას ელიან.

**✦ დაპატიმრება.** გაჩხრეკის დროს 7 მარტს წყნეთისა და ყაზბეგის ქუჩაზე დააპატიმრეს 13 კაცი, ხოლო არსენალის გზა ტკეცილსა და რიყეზე 41 კაცი. 8 მარტს მუხრანის ქუჩასა და იარმუკაზე დააპატიმრეს 13 კაცი, ანდრეევის ქუჩაზე ხუთი კაცი.

**✦ დუქნების დაკეტვა.** ადმინისტრაციის განკარგულებით სასმელი დუქნები დაიკეტა ავლაბარშიაც. მიზეზი დუქნების დაკეტვისა იგივეა, რაც სხვაგან.

**✦ კატორგიდან გამოქცეულის შეპყრობა.** ბაქოში შეუპყრიათ ვიღაც ტამბულისი, რომელიც სამჯერ გამოქცეულა კატორგიდან. ამ ტამბულისს ფეოდოსიაში 1907 წელს, გაქცევის დროს, მოუკლავს ციხის ოთხი ყარაული, ხოლო ეხლა ბაქოში—თავისთან მცხოვრები ქალი.

**✦ კრება.** შაბათს მოხდა წლიური კრება ქალთა უმაღლეს კურსებისა და სამკურნალო ინსტიტუტში მოსწავლე ღარიბ ქალთა დამხმარებელ საზოგადოებისა. კრებამ განიხილა წარსულის წლის მოქმედების ანგარიში. შარშან საზოგადოებას შემოსვლია 1877 მან. 6 კაპ. დახმარება აღმოუჩენია 27 ქალისათვის, მათ შორის 13 რუსისათვის, 7 ქართველისთვის, 6 სომეხისთვის და ერთიც პოლონელისთვის. სულ საზოგადოებას დაუხარჯნია 1090 მ. 73 კაპ. და ამ წლისათვის დარჩენია 786 მან. 33 კაპ. გამგეობის თავმჯდომარედ კრებამ აირჩია ე. პ. პეტრო-პავლოვსკაია, თავმჯდომარის ამხანაგად ქ-ნი როხლინისა; გამგეობის წევრებად: ე. ბაბოვისა, ა. მუხარინსკი, ბ. ხიდეკელი, ისაკოვისა, ნარაზეკოვისა, ბოჟოვსკაია, მუხრანსკისა, გაიდამაკინისა, ივანოვისა და ქ-ნი შენგერი.

**✦ აბრეშუმის თესლი.** როგორც გვატყობინებენ, იმერეთის მეაბრეშუმეებს უთხოვნიათ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორისათვის, აკრძალოს შეუმოწმებელ აბრეშუმის თესლის გაჰყიდვა. წელს ამბობენ, მთელი დაბა-სოფლები სავსეა აბრეშუმის თესლით, რომლის უმეტესი ნაწილი შეუმოწმებელია. თესლი ძლიერ იაფია. შიშობენ, რომ თესლის სიაფისა და სიმრავლის გამო მოსავალი ცუდი იქნება, რადგან მეაბრეშუმეებს არ ეყოფათ ბჟოლის (თუთის) ფოთოლი.

**✦ თავ. ჯანდიერი და თავდგირიძე.** როგორც „ზაკ."-ს ატყობინებენ, სოხუმის ოლქის უფროსად ნამყოფი თავ. ლევან ჯანდიერი სოხუმის ქალაქის თავად აურჩევიათ, ხოლო სოხუმის ქალაქის თავად ნამყოფი თავ. თავდგირიძე აურჩევიათ სოხუმის საურთი-ერთო კრედიტის თავმჯდომარედ.

**✦ იარაღი.** 6 მარტს საღამოთი პოლიციას გაუთხრია სომეხთა ძველ სასაფლაოზე ერთი ადგილი და იქ აღმოუჩენიათ იარაღის მოწყობილებანი.

**✦ მიწის-ძვრა.** 8 მარტს, ღამის 12 საათზე, ტფილისში მსუბუქად მიწა იძრა.

**✦ ქართული წარმოდგენა.** კვირა დილით ქართულმა დასმა დასდგა იუშკევიჩის „მეფე". სამწუხაროდ, ხალხი ძალიან ცოტა დაესწრო, თუმცა არტისტები მეცადინეობას არ აკლებენ. ეხლა არტისტები პშიბიშევსკის პიესის „თოვლის" წარმოსადგენად ემზადებიან. გუშინ, 9 მარტს, ქართულ თეატრში არტისტებმა წაიკითხეს ეს პიესა. ბ-ნმა გრ. რობაქიძემ, რეჟისორის თხოვნით, წაიკითხა მოკლე ლექცია პიესაზე, თან განმარტა ტიპები. ლექციის შემდეგ გაიმართა კამათი.

**✦ გაცარცვა სპარსელებისა.** ქულვაში, როგორც პეტერბურგის სააგენტო გადმოგვცემს, რამდენიმე შეიარაღებული კაცი შევარდნილა ერთ სახლში და გაუცარცვნიან მდიდარი სპარსელი და მასთან მყოფნი სპარსეთიდან გადმოხვეწილნი.

**✦ ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა თავად-აზნაურთა მამულების მჭართველს, პასუხის მგებებელი ტეხნიკოსი დააყენოს სასახლის ქუჩაზე სათავად-აზნაურო ქარვასლის შეკეთების დროს, რომ არავითარი უბედურება არ მოხდეს.

**✦ საღამოს ანგარიში.** გვთხოვენ დავბეჭდოთ: „ანგარიში ისტორიულ საღამოსი, რომელიც გამართა „განათლების" საზოგადოებამ შარშან 29 ქრისტეშობის თვეს. შემოვიდა: გრაფ. ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისაგან 100 მ., გაყიდულ ბილეთებისაგან 1162 მ. 40 კ. შემოსწირეს 84 მ.; ბუფეტიდან, ყვავილებიდან და პროგრამიდან 144 მ. 50 კ. სულ 1490 მ. 90 კ. დაიხარჯა: ბინის ფასი „კრუჟოკს" 180 მ., მუსიკას 125 მ., სურათების დადგმა ტანისამოსი, დეკორაცია, პარიკ-მახერი და საცეკვაო ხარჯი 345 მ. 75 კ., ბუფეტზე, ყვავილებზე 117 მ. 76 კ., მარკა—40 მ., ბილეთები, განცხადება, აფიშები და მათი გაკვრა 39 მ. 19 კ. და წვრილმანი 42 მ. 60 კ. სულ ხარჯი იყო 890 მ. 30 კ. წმინდა დარჩა 600 მ. 60 კ. შემოწირულობა შემოვიდა შემდეგ პირებისაგან: კნ. ე. ნ. ბაგრატიონ-მუხრანსკისაგან, კნ. ა. გ. ამილახვრისგან, კნ. ი. კ. თუმანიშვილისაგან, კნ. დ. რ. ჭავჭავაძისაგან, კნ. ს. ამირაჯიბისაგან, დ. ზ. სარაჯიშვილისაგან, ან. მ. ფითოევისაგან ზ. ს. კობიევისაგან და ლ. ა. მანთაშოვისაგან. საღამოსი გამგე კნ. ნ. პ. ბარათაშვილი გულითად მადლობას უძღვნის გრ. ე. ა. ვორონცოვ-დაშკოვისას უხვ შემოწირულებისთვის და იმ პირთ, რომელნიც ზემოდ არიან აღნიშნულნი. მადლობას უცხადებს აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც დაეხმარნენ სურათების დადგმის დროს: ლ. ლოპატრინსკის, ე. მ. ტატოსიანცს, მ. ი. თოიძეს, ქართ. დრამატიულ საზოგადოებას, არტისტებს ვალ. გუნიას, კონ. მდივანს, ი. გ. ივანიძეს, ს. მ. საფაროვს, ა. ლ. ღუკასოვს და ნ. გ. ქართველიშვილს, და ყველას, ვინც კი აღმოუჩინა დახმარება ისტორიულ საღამოს გამართვაში".

**✦ 7 მარტს ნოვოტროიცკის ქუჩაზე** მოვაჭრე გრიგოლ ხროპეკოვს დუქანში ქურდი შეპარულა. მალე შეუტყვიათ ეს ამბავი და ქურდი შეუპყრიათ. ქურდს დანით დაუჭრია იქვე მყოფი ხროპკოვი. ქურდი და პატიმრეს. აღმოჩნდა იგი ტფილისის მცხოვრები თადეოზ ოვაკიმოვი.

**✦** ტფილისის მცხოვრებმა ეკატერინე კაჭარავამ განაცხადა პოლიციაში, რომ 8 მარტს ნაშუადღევის 3 საათზე, იმ დროს, როცა ჩემ სახლში (სოლომონოვის ქუჩაზე) მე, სტეფანე გალდავასი, გიორგი კორინთელი და ივანე მაზმიშვილი ქაღალდს ვთამაშობდით შემოვარდა ვიღაც ბოროტმოქმედი, დაგვემუქრა მოკვლით, 28 მან. 80 კაპ. წაგვართვა და გაიქცაო.

**✦** მუშტაიდის ბაღის მოიჯარადრემ ალექსანდრე მარტიროსოვმა პოლიციას გამოუცხადა, რომ ჩემმა მოსამსახურემ სეროფ ეგიაზოვმა და იმისმა ძმამ იაკობმა მომპარეს 297 მანეთად ღირებული ნივთი ეგიაზაროვი დააპატიმრეს.

**✦** მალაკნების ქუჩაზე ნაშუადღევის 4 საათზე მინავ ღებულა 8 მარტს შეზარხოშებული ალი იზიმა ოღლი, რომელსაც თავს დასცემია ტფილ. მცხოვრებს ნიკოლოზ პიშმარიტოვი და აუგლეჯია ვერცხლის საათი. დამნაშავე დააპატიმრეს და საათი პატრონს დაუბრუნეს.

---

ვნული ზრდა და განვითარება დაშლაა თვით ავსტრიის იმპერიისა. ავსტრიის იმპერიის დაშლის შემდეგ არის მხოლოდ შესაძლებელი სერბიის სახელმწიფოს დაარსება. და რადგან. ჩვენის ფიქრით, ისეთ სახელმწიფოებს, როგორიც არის ავსტრია,—სხვა და სხვა ურთიერთის მტერ ერთა მექანიკური შეკოწიწება,—არა აქვს ხანგრძლივი და სამუდამო არსებობა, სერბთა იდეალიც შეერთებისა და ერთი დიდი ერის შექმნისა ხიმერად არ უნდა მივიჩნიოთ. მაშინ კი ოსმალეთს უძლიერესი მტერი გაუჩნდება სლავიანების მხრივ, უფრო საშიში, ვიდრე რუსეთი იყო და არის დღესაც.

ბოლგარიაზე არ არის საჭირო ბევრი ლაპარაკი. თავისი ძალა-ენერგია, სიმდიდრეც, ასე გასინჯეთ, სითამამე და ჭკუა მან დაამტკიცა უტყუვრად, მან ოცდა ათ წლიწადში თანამედროვე ძლიერი სახელმწიფო შექმნა ხუთასი წლის მონ[ო]ბიდან, და ისეთი სახელმწიფო, რომელიც დღესაც აჰმონებს ოსმალეთს, რომელსაც დღესაც კი აქვს ჩუმი მისწრაფება დიდი ბოლგარიის შექმნისა, იცი, მკითხველო, რომელი სატახტო ქალაქითურთ... **სტამბოლით.** და ესეც, შეიძლება, არც ისეთი ხიმერა იყოს როგორც პირველი შეხედვით ეგონება მკითხველს.

რუმინიას რაც შეეხება, იგი სიძლიერითა და სიმდიდრით სერბიას გაცილებით აჭარბებს, ბოლგარიას კი არ ჩამოუვარდება. ისიც, როგორც სერბია და ბოლგარია, დაუძინებელი ტრადიციული მტერია ოსმალეთისა.

განსაკუთრებით ეს სამი სახელმწიფო, თანდათან განვითარებაში მყოფნი, ბარიერია ოსმალეთის ძლიერების განვითარებისათვის ევროპაში. ეს კიდევ რა, დროთა ვითარებაში არ შეიძლება მათ ქვევით არ დაიხიონ და ეგეისა ზღვისა და ბოსფორისაკენ არ გამოსწვალონ ყველანი, რადგან ბუნებრივი ძალა განვითარებისა მათ უსათუოდ აქეთკენ გასწევს. აქ მათ შეხვდება ოსმალეთთან შეტაკება და, ვინ იცის, შეიძლებს თუ არა ოსმალეთი ამ ახლად აღორძინებულ ერთა შეკავებას? ძნელი იქნება მისთვის ეს საქმე, რადგანაც ევროპაში ოსმალებს მტკიცე ეთნიური საფუძველიც არა აქვთ. ბოლგარელი, საერთოდ სლავიანის ელემენტი, გაცილებით მეტია მაკედონიაში და თვით ფრაკიაშიაც, ვიდრე ოსმალისა.

რა იქმნება მაშინ, რომ მართლაც ამ მოკლე ხანში შესაძლებელი გახდეს ფედერაცია ბალკანეთის სახელმწიფოთა? როდესაც მე ვამბობ ფედერაციას, სახეში მაქვს ფედერაცია სერბიისა, ჩერნოგორიისა, რუმინიისა და ბოლგარიისა, თორემ ფედერაცია ოსმალეთთან და მისი თაოსნობით, როგორც ამბობენ ხოლმე, მართლაც და ხიმერაა, რადგან ც არასოდეს ბოლგარია განსაკუთრებით არ დასთანხმდება ოსმალეთთან და მისი თაოსნობით ფედერაციას, როდესაც მას ისეთი დიდი მომავალი გეგმა აქვს განვითარებისა და გაძლიერებისა, რომ მგონი დიდ სახელმწიფოსაც არ ესიზმრებოდეს ხოლმე. მე ვამბობ მხოლოდ ზემოხსენებულ სახელმწიფოთა ფედერაციაზედ: იგი რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ ხომ ოსმალეთს უფრო დიდი საფრთხე მოელის, რადგან შეერთებული ძალა დიდ რამეს წარმოადგენს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ძველი ბალღამი არის დაჩირქებული მტრის მოსაწამლავად თვითოეულ მოკავშირის გულში. მაგრამ არც ასეთი ფედერაცია არის შესაძლებელი. თვითოეულ ამ სახელმწიფოთაგანს ჰგონია, რომ დიდი მომავალი მოელის, და რად შეჰზღუდავს თავის ინდივიდუალურ განვითარებას რაღაც ფედერაციით. გარდა ამისა ისინი ერთმანეთსა სჭამენ: მათ შორის შური, მტრობა, სისხლის ღვრა ისე ძლიერია, რომ ერთს მეორის სრული გაქრობა ესიამოვნება, ჰგონია რომ მეზობლის დასუსტებით თვით გაძლიერდება. მარტო მაკედონიის საქმეებში რაც მათ ურთი-ერთისადმი მტრობა და სიძულვილი გამოიჩინეს—განა შესაძლებელია მათი შერიგება და შეკავშირება? როდესაც ბოლგარიას მაკედონია თავისად მიაჩნია, მისი განთავისუფლებით სურს შექმნას დიდი ბოლგარია და ორის მხრით ზღვაზედაც ფეხების მედგრად დაბჯენა, იგი რაღაც სერბიას და ჩერნოგორიას შეეკვრის ფედერატიული კავშირით"—არასოდეს. და ამ მხრით ოსმალეთი მოგებულია. სლავიანთა მტრობა მისი ხანგრძლივობის თავდებია ევროპაში, სლავიანთა ერთობა და კავშირი კი მისი დამღუპველი. მაგრამ მიუხედავად ურთი-ერთისადმი მტრობისა, სლავიანთა სახელმწიფოები მაინც ვითარდებიან ცალ-ცალკე, და ოსმალეთმა სახეში უნდა მიიღოს მათი გაძლიერება, თვითონაც უნდა განახლდეს- ევროპის ოსმალეთი ნამდვილად უნდა „გაევროპიელოს", რომ სლავიანებისაგან არ იქმნას იგი წარტაცებული, რომ ამ ტენდენციას მან ნამდვილი კულტურული და ძლიერი სამხედრო ძალა დაუყენოს წინ.

**უსახლ-კარო.**

(დასასრული იქნება)

# უკანასკნელი ამბები

## ომის მოლოდინში

**ომი აუცილებელია**

რუსეთის სამხედრო აგენტს ვენიდან დეპეშა გამოუგზავნია პეტერბურგში: „ომი ავსტრიისა და სერბიის შორის აუცილებელია".

**ავსტრიის იმპერატორის ნათქვამი**

5 მარტს საღამოს დილის დროს იმპერატორმა ფრანც-იოსებმა მიჰმართა დიპლომატიურ კორპუსს და სთქვა: „სამწუხაროდ, უნდა გამოგიცხადოთ, რომ პოლიტიკურმა მდგომარეობამ მიიღო სერიოზული ხასიათი, რაც მე ღრმად მაწუხებსო".

**რუსეთის სამხედრო საბჭო**

5 მარტს რუსეთის სამხედრო საბჭომ საგანგებო სხდომა მოახდინა.

იმავ დღეს სამინისტროს რამდენიმე წევრმა თათბირი გამართა. სათათბიროს უმეტესობის წარმომადგენლებთან ვენიდან მიღებულ ამბების შესახებ.

**ავსტრიის ფლოტილია**

ავსტრიის ფლოტილია სრულად დამზადებული საომრად დგას მდინარე დუნაიზე ბელგრადის პირდაპირ.

**8000 მეომარი ქალი.**

სერბიის თავისუფალს მეომრების რაზმებში ჩაეწერა 8 ათასამდე ქალი. ამათ ყველას დაურიგეს იარაღიო.

**სერბების იმედი.**

სერბებს სრული იმედი აქვთ, რომ თუ ომი ასტყდა, რუსეთი დახმარებას გაუწევს სერბიასაო. ლაპარაკობენ, რომ მაშინ სერბის ჯარში თავისუფალ მეომრებად შევა ასი ათასი რუსის სათადარიგო ჯარის კაციო.

**„იაპონიაც ემზადება საომრად".**

გერმანული გაზეთები, ალბად რუსეთის შესაშინებლად, ირწმუნებიან, რომ იაპონიაც ემზადება რუსეთის წინააღმდეგ საომრადო. იაპონიამ დიდძალი სამხედრო ავტომობილი შეუკვეთა საფრანგეთის ქარხნებს. ეს ავტომობილები იმნაირი უნდა იყოს, რომ რუსეთის სამფლობელოში, უსურიისა და პრიმორსკის ოლქებში, გამოდგეს სახმარებლად. ამას გარდა იაპონელებმა ქარხნებს დიდძალი მასალა შეუკვეთეს თავიანთ სამხედრო საავადმყოფოებისთვისო.

## სპარსეთში

**ლიახოვისა და რუს-აფიცრების დათხოვნა.**

როგორც დეპეშებიდან ვიცით, რუსეთის სამხედრო სამინისტრომ პოლკოვნიკი ლიახოვი რუსის სამხედრო სამსახურიდან გადააყენა. როგორც გაზეთები იუწყებიან, ლიახოვს გარდა კიდევ ორი რუსის აფიცერი გადუყენებიათ რუსეთის სამხედრო სამსახურიდან.

**სპარსელ დიპლომატის ნათქვამი.**

მეტად გაძლიერდა სპარსეთის რევოლუცია. ყოველ წამს უნდა ველოდდეთ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას ძველს რეჟიმსა და აჯანყებულ ხალხს შორის. ერთს სპარსელ დიპლომატს პეტერბურგში უთქვამს „გოლ. მოსკოვი"-ს კორესპონდენტისთვის:

„საქმე იქამდე მივიდა, რომ სპარსეთის ელჩი პეტერბურგში იძულებული იყო დეპეშა გაეგზავნა შაჰისთვის. ელჩმა იზაატ-ხანმა გადაჭრით მისწერა შაჰსა, რომ თუ კონსტიტუციას არ აღადგენთ; სპარსეთს დიდი განსაცდელი დაადგებაო.

თავრიზში ამ ჟამად ასეთი მდგომარეობაა: შაჰის მუდმივი ჯარი ლაჩაღებითურთ დგას სათარ-ხანის ჯარის პირდაპირ. მე ნამდვილად ვიცი, რომ სათარ-ხანი თითონ არას დროს არ დაეცემა შაჰის ჯარს. ის მტრის მოგერებას სჯერდება. სათარ-ხანმა კარგად იცის, რომ შეიძლება უცხოეთის სახელმწიფოები გაერიონ სპარსეთის საქმეებში და მაშინ, რაღა თქმა უნდა, სახელმწიფოები უფრო თანაგრძნობით მოეპყრობიან იმ მებრძოლ მხარეს, რომელიც უფრო წესიერად და დინჯად იქცევა. ამას გარდა რად უნდა სათარ-ხანს იერიშის მიტანა როდესაც მაშინ კარგად იცის, რომ შაჰის ჯარს უამისოდაც მოელება ბოლო: მან ცარცვითა და გლეჯითა მთელ სპარსეთის ხალხს შეაძულა თავი.

შაჰს ძლიერ უჭირს ფული, ამიტომ იგი იძულებული იქნება ახალი სესხი აიღოს. შიგ სპარსეთში ვერ იშოვის, მაშასადამე უცხოეთში უნდა ისესხოს ეჭვს გარეშეა, რომ შაჰი ამ თხოვნით მიჰმართავს რუსეთს რომლის ძველი ვალიცა ჰმართებს".

## ბალკანეთში

**„დუნაის შეერთებული შტატები."**

იმ პოლიტიკის გასაგებად, რომელსაც ავსტრია აწარმოებს ბალკანეთში, არა კმარა მის ხელმძღვანელთა და სულის ჩამდგმელთა ოფიციალურ განცხადებათა ცოდნა. აუცილებლად საჭიროა გავიცნოთ იმ წრეების საიდუმლო მისწრაფებანი და განზრახვანი, რომლებიც აწარმოებენ ავსტრო-ჰუნგრეთის საგარეო პოლიტიკას. ამ მხრივ დიდად საინტერესოა ვენურ ჟურნალ „ოსტერრეი-ხიშე რუნდშაუ"-ს („ავსტრიის მიმოხილვა") უკანასკნელ ნომერში დაბეჭდილი წერილი: „დუნაის შეერთებული შტატები. ბალკანეთის საკითხის გადაწყვეტის პროექტი". თუმცა ავტორი იმალება „პერეგრინუს"-ს პსევდონიმის ქვეშ და თავის თავს პუბლიცისტად აცხადებს, მაგრამ მაინც ყოველ ეჭვს გარეშეა, რომ იგი არის ავსტრიელი პოლიტიკოსი. როგორც თითონ ეს ჟურნალი, ისე ყველა მისი თანამშრომელი დაახლოვებულნი არიან უმაღლეს ბიუროკრატიულ წრეებთან.

ავტორი თავდაპირველად აცხადებს, რომ იგი არის მეგობარი ბალკანეთის სახელმწიფოებისა საზოგადოთ და სერბების კერძოდ. სერბთა სახელმწიფოები (სერბია და ჩერნოგორია)—სწერს იგი—მეტად საფუძვლიანად უჩივიან თავიანთ ბედსა, რომელიც მათ არგუნეს ევროპამა და ავსტრო-ჰუნგრეთის ძლიერებამ. ეგ-კია, რომ ისინი ტყუილად ემდურიან და უსაყვედურებენ ავსტრო-ჰუნგრეთს. რაც უნდ სამართლიანი იყოს სერბების ჩივილი და საყვედური, ავსტრო-ჰუნგრეთს არ შეუძლიან სერბების ეროვნულ მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ხელი აიღოს დიდის სახელმწიფოს როლზე და თავის სამფლობელოს ნაწილზე. სერბებსა და ბალკანეთის სხვა ერებს ერთი-და დარჩენიათ: ავსტრო-ჰუნგრეთს შეუერდნენ მასთან ერთად-ერთი დიდი დუნაის იმპერია დაარსონ იმის მსგავსად, როგორც გერმანიის ყველა პატარა სახელმწიფომ პრუსიის მეთაურობით დაარსეს ერთი მძლავრი პოლიტიკური კავშირი. დუნაის ახალი ფედერაცია, რომელშიაც ავსტრო-ჰუნგრეთის გარდა, უნდა შევიდნენ სერბია, ჩერნოგორია, ბოლგარია და რუმინია, იქნება ერთიანი მთლიანი სახელმწიფო, ექნება საზოგადო სადამოჟნო მამრთველობა და საზოგადო ბანკი, ეყოლება საზოგადო ჯარი და ფლოტი. ასეთ სახელმწიფოს შეეძლება ძლიერი ეკონომიური და კულტურული განვითარება, ხოლო პოლიტიკურისა და სამხედრო მხრით იგი იმდენად მძლავრი იქნება, რომ არავითარი გარეშე მტერი აღარ იქნება მისთვის საშიში.

პელეგრინუსმა იცის, რომ აზრი ბალკანეთის კონფედერაციის შესახებ ახალი არაა. იგი იხსენიებს ლიუდვიგ კოშუტისა, ვლადან გიორგიევიჩისა და ეზვოლსკის პროექტებს, მაგრამ ყველა ეს პროექტი არ შეეფერება ბალკანეთის ერების ინტერესებს და მიმართულია იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც არის ნამდვილი ბუნებრივი მეთაური ამ ერებისა. ბალკანეთის ერების კავშირი ჰუნგრეთთან (კოშუტის პროექტია) ამ ერებს ვერ დაუახლოვებდა ევროპის კულტურას, პირიქით ეს კავშირი ჰუნგრეთს დაუახლოვებდა აღმოსავლეთთან. იზვოლსკის მიერ ნარჩევი ფედერაცია ოსმალეთის მეთაურობით იქნება, იმდენად ძლიერი აღმოჩნდეს, რომ შეიძლოს მოგერიოს [illegible] სახელმწიფოთა ყველა [illegible], მაგრამ იგი, [illegible] უზრუნველყოფს [illegible] მშვიდობიანობას, როგორც ეს მაკედონიის მაგალითმა დაგვანახვა, მეორე კიდევ ისა, რომ იგი არაფერს არ შესძენს ბალკანეთის ერებს არც ეკონომიურისა და არც კულტურის მხრით. ოსმალეთი ჯერ კიდევ იმდენად სუსტია და უკულტურო, რომ მეთაურობა არ შეუძლიან, ხოლო უკვე იმდენად ძლიერია, რომ იგი არ დაემორჩილება ბალკანეთის სხვა ერებს. კულტურულ მასწავლებლის როლის ასრულება შეუძლიან მხოლოდ მჭიდროდ დაკავშირებულ გერმანიის იმპერიასთან ავსტრიას, რომელმაც მიაღწია უმაღლეს ეკონომიურ განვითარებამდე და რომელიც კარგად ეპყრობა ნაირნაირ ერებს.

როცა ავსტრიაში აბსოლიუტიზმი და ცენტრალიზმი სუფევდა, მაშინ კიდევ გასაგები იყო სიძულვილი და მტრობა მისდამი. მაშინ მასთან კავშირი მომასწავებელი იქნებოდა ეროვნულ დამოუკიდებლობის დაკარგვისა. მაგრამ გერმანიის იმპერიის მაგალითმა და პარლამენტიზმის დაწესებამ ავსტრიაში საბოლოოდ უნდა გაჰქარწყლონ ამნაირი შიში და ეჭვი. სერბიის ან ბოლგარიის მეფის ღირსება სრულიად არ დამცირდება, თუ მათ ისეთივე განწყობილობა ექნებათ ავსტრიის იმპერატორთან, როგორიც აქვთ ბავარიის, საქსონიის და სხვა გერმანელ მეფეებს გერმანიის იმპერატორთან. ბალკანეთის ყველა პარლამენტი შეინარჩუნებს თავის ეხლანდელ უფლებასა და მდგომარეობას. მათი საკანონმდებლო უფლება სრულიად არ იქნება შეზღუდული. მათ მხოლოდ ჩამოერთმევათ მთელის კონფედერაციისთვის საერთო საკითხების გარჩევის უფლება: სადამოჟნო პოლიტიკა, ჯარი და სხვა. ეს საკითხები გადაეცემა კონფედერაციის საზოგადო დაწესებულებას, გერმანიის საკავშირო საბჭოს მსგავს. ამნაირად, პერეგრინუსის აზრით, ბალკანეთის ერები სრულობით არაფერს არ დაჰკარგვენ, თუ შევლენ დუნაის ფედერაციაში, რომლის მეთაურად ავსტრია იქნება. ყოველ სახელმწიფოს შერჩება თავისი უზენაესი უფლება, ყოველ ერს—თავისი დამოუკიდებლობა. მოგებით-კი ყველა ბევრს მოიგებს. სამხედრო ხარჯებისგან განთავისუფლებულთ, ბალკანეთის ერებს შეეძლებათ მთელი თავიანთი ძალა და შეძლება მოახმარონ ეკონომიურ და კულტურულ განვითარებას. მაღალ კულტურულ ავსტრიასთან დაკავშირებულნი და ეკონომიურად შეერთებულნი ისინი სწრაფის ნაბიჯით ივლიან პროგრესის გზაზე.

პერეგრინუსი არ უარჰყოფს, რომ ამ პროექტის განხორციელებას წინ გადაეღობება ზოგიერთი დაბრკოლება, მაგრამ მისი აზრით, მათი მოშორება ადვილია, უმთავრესი დაბრკოლება უკვე მოიშორა ისტორიის მსვლელობამ. ესაა—რუსეთი, რომელსაც წინად შეეძლო ხელი შეეშალა „დუნაის შეერთებულ შტატების" დაარსებისთვის, მაგრამ ეხლა იგი იმდენად უძლურია, რომ არავითარი წინააღმდეგობა აღარ შეუძლიან. რაც შეეხება ევროპის სხვა სახელმწიფოებს, მეტადრე ინგლისსა და იტალიას, ისინიც მალე დარწმუნდებიან, რომ ბალკანეთის ერების კულტურული განვითარება მათთვისვე იქნება სასარგებლო. პერეგრინუსის აზრით, უფრო საშიში იქნება შინაური დაბრკოლება: ჰუნგრეთისა და აგრარიების პროტესტი. ჰუნგრეთი უკმაყოფილო იქნება, რადგან მისი მნიშვნელობა დაეცემა საერთო კონფედერაციაში, ხოლო აგრარიებს შეეშინდებათ, რომ ბალკანეთის სასოფლო მეურნეობის ნაწარმოები გაავსებს ავსტრიისა და ჰუნგრეთის ბაზრებს. მაგრამ ბოლოს და ბოლოს აგრარიებიც დარწმუნდებიან, რომ კონფედერაცია მათ უფრო გაასუქებს. რადგან თუ კონფედერაცია მეტად დიდ სარგებლობას მოუტანს ბალკანეთის სახელმწიფოებს, იგი არც ავსტრიასა და ჰუნგრეთს მოუტანს ზარალს. არა თუ მარტო მათი მრეწველობა, სასოფლო მეურნეობაც ჩინებულად აღყვავდება. მაშასადამე არავითარი დაბრკოლება არ არსებობს. რაღას უნდა ვუცადოთ? პერეგრინუსი რჩევას იძლევა, ავსტრია რაც შეიძლება მალე უნდა შეუდგეს ამ პლანის განხორციელებასო. ეხლა—საუკეთესო წამიაო... („რ. ვ.").

## წინამძღვრიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელი

იუმცა მკითხველის მოსწყინდა იმ საანბანო ჭეშმარიტების თხოვნა, რომ საქართველო სამეურნეო ქვეყანაა და ჩვენი ხსნა მეურნეობის აღორძინებში უნდა ვეძიოთ, მაგრამ მაინც საჭიროდ მიგვაჩნია იქამდის ვიძახოთ ეს, ვიდრე ჩვენი საზოგადოება ამ გარემოებას საჭირო ყურადღებას მიაქცევს და პრაკტიკულ გზას დაადგება ამ აზრის დასაგვირგვინებლად. ისეთი ტიპის სასწავლებელი, როგორც არის წინამძღვარიანთ კარს, საჭიროა გავხსნათ რამდენიმე ყოველ მაზრაში. ყოველი ჩვენი ძალა, ყოველი ჩვენი ცოდნა და მთელი ჩვენი მხნეობა და გამჭრიახობა უნდა დავატრიალოთ, რომ ეს განვახორციელოთ. ყველაზე მეტი ყურადღება, ამ საქმეს უნდა მიაქციოს წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ და ქართველმა თავად-აზნაურობამ, თუ ეს უკანასკნელი მართლა გულით და სულით არის გამსჭვალული სამშობლოს სიყვარულით და თუ იმის ბედნიერებისთვის გული უცემს.

მაგრამ ვიდრე სხვაგან გავხსნიდეთ სამეურნეო სასწავლებლს, უნდა ვეცადოთ სანატრელ და სამაგალითო მდგომარეობაში ჩავაყენოთ ის სასწავლებელი, რომელიც ხელთა გვაქვს. რას ვხედავთ ჩვენ აქ: 25 წლის განმავლობაში წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელში დაუმთავრებიათ სწავლა მარტო 83 მოსწავლეს, ე. ი. წელიწადში 4 კაცს. მარტო თავად-აზნაურობა ჰხარჯავდა ამ სკოლაზე ყოველ წლობით 5000 მან. თუ მიუმატებთ ამას ბ-ნ ილია წინამძღვარიშვილის ხარჯს, რომელიც თუ მეტი არა, ამდენი მაინც უნდა იყოს, დავინახავთ, რომ თვითო მოსწავლეზე დახარჯულია სწავლის გათავებამდის 2500 მანეთი. როგორ ფიქრობთ ამ ფულით შეიძლებოდა თუ არა მთელის სასწავლებლის შენახვა? ძალიან კარგი, ეს ამოდენა ფული დაიხარჯა. მერე ამ 83 მოწაფეში რამდენი დაუბრუნდა სოფელში მეურნეობას და რა გააკეთა ან თავისთვის, ან სამაგალითოდ სხვისთვის? მე კი არც ერთ ამ გვარს არ შევხვედრივარ და თუ ვცდები, დიდ:თ სასიამოვნო იქნება გვიჩვენოს ვინმე ეს ჩვენი შეცდომა. (ჩვენ აქ მხედველობაში არა გვყავს ორიოდე კაცი რომელთაც სხვა სამეურნეო სასწავლებელი გაათავეს რუსეთში და მარტო შემდეგ შეძენილ ცოდნით სარგებლობენ) ესე რომ ჩვენის აზრით, ამ სასწავლებელში თვითო მოსწავლეზე 2500 მანეთი იხარჯება მარტო იმიტომ, რომ წერა კითხვა შევასწავლეთ. თუ ეს ასეა, მაშინ რით ავხსნათ ის გარემოება, რომ მოსამზადებელი კლასები ამ ორ კლასიან სასწავლებლისა დ... და ეხლა იქიდან ვერც მეურნე ... და ვერც წერა-კითხვის მცოდ... ჩვენი ხალხი ყოველ მხრივ დაბეჩავებული და შევიწროებულია, მას ყველაფერი ენატრება და ესაჭიროება, მაგრამ ყველაზედ მეტად კი ესაჭიროება წერა-კითხვა. ამ უკანასკნელს მოკლებულნი არიან წინამძღვარიანთ კარის გარემემო მდებარე სოფლელები. გასაკვირველია, რომ ამ სასწავლებელმა 25 წლის განმავლობაში ვერავითარი ნათელი ვერ შეიტანა მეზობელს სოფელში. არც ცოდნა, არც მეურნეობის გაუმჯობესობა. რას აკეთებდნენ ამ სასწავლებლის მასწავლებელნი, რა მაგალითი აჩვენა სოფლელებს სამეურნეო სასწავლებელმა, ჩემის დაკვირვებით—არავითარი.

მივაქცევთ ამ გარემოებაზე ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების და აგრეთვე ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთა მომავალ საზოგადო კრების ყურადღებას—შეეხნენ ამ საკითხს და მიიღონ ყოველივე საშუალება, რომ ეს სასწავლებელი უნიადაგოდ არ დარჩეს და 25 წლის შრომამ და ხარჯმა მუქთად არ ჩაიაროს. საჭიროა, სხვათა შორის, ხელ-ახლად აღდგენილ იქნას პირველ-დაწყებითი სწავლა ან ეს სასწავლებელი შეურთდეს საგურამოს წერა-კითხვის სკოლას. ბევრს შრომობს ბ ნი ილია წინამძღვარიშვილი, ბევრი ხარჯიც მოსვლია, როგორც ამბობენ, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ, „მარტო კაცი ჭურის ჭამაშიაც ცოდოა“. ამისათვის ზევით დასახელებული საზოგადოებანი მოვალენი არიან მიეშველნენ ბ-ნ წინამძღვარიშვილს და უშველონ არა მარტო ნივთიერად და რჩევით, არამედ მზრუნველობის გაზიარებითაც და ამით შეძლება მისცენ სკოლას სრულებით საფუძველი არ გამოეცალოს და არ დაღუპოს.

ვიმეორებთ, ჩვენის აზრით, იმ ტიპის სასწავლებლები, როგორიც არის წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელი, ჩვენს სამშობლოს ყველა კუთხეში უნდა დაარსდეს, მხოლოდ საჭიროა, რომ ეს სასწავლებლები მარტო სახელით კი არ იყვნენ სამეურნეო, არამედ საქმითაც. სწავლა ისე უნდა მოეწყოს, რომ იქიდან გამოსულებს შეეძლოთ თავისუფლად, დამოუკიდებლად აწარმოონ თავიანთი პატარა საქმე, რასაც, ჩვენდა საუბედუროდ, ვერა ვხედავთ წინამძღვარიანთ კარის სასწავლებელში გათავებულთ შორის.

ამ ტიპის სასწავლებლებისთვის საჭიროა შემდეგი: 1. კარგის ჯიშის ყოველ გვარ საქონლის გაშენება და მათ მოვლის პრაქტიკულად შესწავლა; 2. მერძეობა; 3. საუკეთესო ჯიშის ფრინველის გაშენება და მისი მოვლა; 4. ყოველივე დარგი მებაღეობისა, რაც კი ჩვენში გამოდგება; 5. ყოველ გვარი სანერგე—ხალხში საუკეთესო ჯიშის ნერგების გასავრცელებლად; 6. მევენახობა და ამერიკულ ვაზის გაშენება; 7. მეღვინეობა; 8. მეაბრეშუმეობა, აბრეშუმის თესლის მომზადება და თუთის გაშენება; 9. მეფუტკრეობა; 10. ჭირნახულის და ბაღჩეულობის ინტენსიური მოვლა.

რამდენათ შევძელით დათვალიერება წინამძღვარიანთ კარის სასწავლებლისა, იმ დასკვნას მივედით, რომ არც ერთი აქ ნამოთვლილი დარგი არ არის საჭირო ნიადაგზე დაყენებული. თვით სკოლა და მისი მიდამო ძალიან გულსაკლავ შთაბეჭდილებას ახდენს იმაზე, რომელსაც კი უნახავს სადმე სხვაგან ამ ტიპის სასწავლებელი და გული შესტკივა თავის ქვეყნისათვის.

იმედია, რომ ჩემი წრფელის გულით ნათქვამი გამოიწვევს ჩვენს საზოგადოების ყურადღებას და არ დარჩება „ხმად მღაღადებელისად უდაბნოსა შინა“.

ტ.

## წერილი რედაქციის მიმართ

ბატონო რედაქტორო! ნება გვიბოძეთ, თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით **უკანასკნელად მოვაგონოთ** ოდესის უნივერსიტეტში სწავლა დამთავრებულთ, რომ **გადაიხადონ** მათზე დარჩენილი ქართველ სტუდენტების წრის **ვალი**. წრეს აქვს გავალებული 2 300 მან. ყველა დაგვეთანხმება, რომ ისეთ ღარიბ სტუდენტებისათვის, როგორნიც არიან საზოგადოთ ქართველი სტუდენტები, 2300 მ. ძალიან ბევრს ნიშნავს. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამ ანგარიშში არ შედის ისეთ პირების ვალი, რომელთა შესახებ ცნობები არა გვაქვს-ვინ სად იმყოფება; მაგრამ იმედია ფორმალიზმით არ ისარგებლებენ და მოიგონებენ მათდამი წრის სამსახურს.

დღიდან გამოცხადებისა მოვალეებს ეძლევათ ერთი თვის ვადა, შემდეგ კი გამოცხადებული იქნება ყველას გვარი გაზეთში.

ფულის გამოგზავნა შეიძლება შემდეგის ადრესით: „Одесса. до востребованія. ст-у Гедеону Г. Габуніа“.

ქართ. სტ. წრის. მინდობილობით

**სტ. გედევან გაბუნია.**

P. S. ვსთხოვთ სხვა გაზეთებსაც გადაბეჭდონ ეს წერილი. გ. გ.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ

ამ ჟამად ყველა ჩვენ მეაბრეშუმეს აინტერესებს ის, თუ საიდან შეიძინოს კარგი თვისების აბრეშუმის თესლი. თუმცა მეაბრეშუმეობა საქართველოში ამ ბოლო დროს შესამჩნევად გავრცელდა და სხვა სამეურნეო დარგთან შედარებით დიდს შემოსავალსაც იძლევა ($2^1/_2$ მ.ლ. მანეთამდე), მაგრამ სადი აბრეშუმის თესლის გავრცელებისა და შეძენის საქმე დღემდის არ არის მოწესრიგებული. ამ გარემოების გამო ჩვენი მეაბრეშუმენი ყოველ წლობით უცხოეთიდან შემოტანილ თესლში იხდიან 500,000 მანეთს და დღემდე ვერ მოუხერხებიათ ადგილობრივ დაამზადონ სადი თესლი, ან, და თავის დროზე დაუკვეთონ უცხოეთის რომელსამე საიმედო ფირმას მათთვის საჭირო კარგი თესლის დამზადება.

ათი წლის წინად ამ მხრივ ცოტაოდენი ნაბიჯი წარსდგა წინ მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის დამაარსებელმა, განსვენებულმა ნესტორ წერეთელმა, რომელმაც შემოიღო ადრევე დაკვეთა უცხოეთში საჭირო თესლისა, მაგრამ ის მეთესლე (ხრისტოდულიდისი), რომელმაც დაიმსახურა ამხანაგობის ნდობა, ამ ორი წლის წინად გარდაიცვალა და მისი ფირმის თესლის თვისებაც შეიცვალა. მეაბრეშუმენი დღემდის ძალაუნებურად იძენენ ხსენებულ ფირმის თესლს დიდ ფასად, თუმცა პარკის მოსავალი ამტკიცებს, რომ ეს თესლი წინანდელ თვისებისა აღარ არის და არაფრით არ განირჩევა სხვა საბაზრო თესლისაგან, რომელსაც მეაბრეშუმე ყიდულობს 1—2 მანეთად (უფრო ნაკლებ ფასადაც) კოლოფს. მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობას ხსენებულ ფირმის თესლი უკვე მესამე წელიწადია, რაც აღარ გამოუწერია უცხოეთიდან და ეს ფირმა გადავიდა კერძო ვაჭრების და სოფლის ჩარჩების ხელში, რომელნიც ყოველ ღონისძიებას ხმარობენ, დაარწმუნონ მეაბრეშუმენი—ხრისტოდულიდის ფირმის თესლი კარგის თვისებისა და წინანდებურად საგანგებოდ მზადდებაო. ხრისტოდულიდის სიკვდილთან ერთად მოკვდა იმის ფირმის თესლის კარგი თვისებაც, რასაც ამტკიცებს პარკის ცუდი მოსავალი და ისიც, რომ ამ ფირმის წარმომადგენელნი გაურბიან შემოწმებას. სხვა ფირმები კი, მაგალითად, ეკონომიდი, პასხალიდი, ზარავანი და სხვები ამოწმებინებენ ადგილობრივ დაწესებულებას თავიანთ თესლს. მაშ ხრისტოდულიდის ფირმას რათ ეშინიანთ შემოწმებისა?

ამ ჟამად დაბა-სოფლები სავსეა სხვა და სხვა თვისების თესლით. ამბობენ, ის თესლი, რომელიც სპარსეთში უნდა წაეღოთ, აქ საქართველოში დასტოვეს, რადგან რევოლიუციის გამო ვერა ჰბედავენ გაგზავნასაო. ამასთან ზოგიერთი ცნობილი უცხოელი ფირმა ისე გაუტაცნია ჯიბის გასქელების სურვილს, რომ ადგილობრივ (ტფილისში) ჰყიდულობს დაბალ თვისების თესლს კოლოფს 40—50 კაპეიკად, და თავის ... ის სახელით ჰყიდის 2-3 მანეთად. ბევრ სხვა ბოროტებასაც სჩადიან მეთესლეები, მაგრამ რა უნდა ჰქნას დაბეჩავებულმა მეაბრეშუმემ, რომელსაც გაჭირვება აიძულებს გაჰყიდოს უკანასკნელი სარჩო სიმინდი—და იყიდოს ერთი კოლოფი თესლი რომ ეგებ ორიოდე ფუთი პარკი მოიწიოს და იმის შემოსავლით გაისტუმროს სავალდებულო გადასახადები. მართლაც იმერეთისა, გურიისა და სამეგრელოს მცხოვრებთა 90 როც. ამ ბოლო წლებში სცხოვრობენ თითქმის მეაბრეშუმეობის შემოსავლით და თუ ეს უკანასკნელი შემოსავალიც მოუსპო, მაშინ წარმოუდგენელია ის თუ რა შედეგი მოჰყვება ამას.

საჭიროა მეაბრეშუმეებს დახმარება გაუწიონ სამეურნეო ამხანაგობებმა, საზოგადოებებმა და სხვებმა. ამხანაგობებმა უნდა მიაწოდონ მეაბრეშუმეებს საუკეთესო თვისების შემოწმებული თესლი რიგიან ფასად, ხოლო მთავრობამ აუკრძალოს მეთესლეებს უვარგის თესლის შემოტანა უცხოეთიდან.

მეაბრეშუმეებმაც უნდა შეასრულონ შემდეგი: თავის დროზე (მარტის დამლევამდე) შეიძინონ სამეურნეო ამხანაგობისა და სხვა სპეციალურ დაწესებულების დახმარებით და რჩევით შემოწმებულ ფირმის თესლი. თესლი უნდა შეიძინონ იმდენი, რამდენიც გამოსაკვებადაც აქვთ საკმაო საჭიე სახლი და ბჟოლის ფოთოლი (ერთი კოლოფ თესლს ეყოფა 40-60 საშუალო ძირი ხე). თესლი მეაბრეშუმემ უნდა შეიძინოს გადაჭრილ ფასად და არა პარკის მოსავლის ნაწილზე, რადგან გამოცდილებამ გვაჩვენა რომ მოსავლის ნაწილზე აღებული თესლი მეაბრეშუმეს კოლოფი უჯდება 6 8 მანეთად. დასასრულ, მეაბრეშუმეთა ყურადღებას მივაქცევ იმას, რომ არ დაეხარბონ თესლის სიმრავლეს და სიაფეს, არ შეიძინონ იმაზე მეტი თესლი, რასაც ვერ მოუვლიან. ბევრი თესლის შეძენა (უფასოდაც რომ იშოვნონ) საზარალოა: ბევრს ფოთოლს და შრომას მოითხოვს, მოსავალს კი ცოტას (ერთ კოლოფზე ნაკლებს) იძლევა. **მეურნე.**

## მეორე მომგებიანი სესხის ტირაჟი

**პეტერბურგი.** მეორე შინაგან სესხის მოგებები ჰხვდა:

| ჯამი მოგებისა | NN სერ. | NN საბილ. | ჯამი მოგ. | NN სერ. | NN ბილ. |
|---|---|---|---|---|---|
| 200000 | 18770 | 8 | 1000 | 10865 | 36 |
| 75000 | 546 | 7 | „ | 807 | 4 |
| 40000 | 9313 | 7 | „ | 5455 | 44 |
| 25000 | 11281 | 7 | „ | 7033 | 4 |
| 10000 | 7203 | 25 | „ | 14468 | 16 |
| „ | 12882 | 50 | „ | 5092 | 10 |
| „ | 15861 | 48 | „ | 234 | 47 |
| 8000 | 8421 | 50 | „ | 6929 | 2 |
| „ | 3085 | 12 | „ | 5825 | 31 |
| „ | 17079 | 38 | „ | 7552 | 8 |
| „ | 12443 | 9 | „ | 4744 | 26 |
| „ | 81 | 42 | „ | 2488 | 38 |
| 5000 | 3597 | 37 | „ | 18392 | 26 |
| „ | 8404 | 33 | „ | 2303 | 47 |
| „ | 11410 | 15 | „ | 9276 | 4 |
| „ | 4314 | 5 | „ | 13879 | 47 |
| „ | 5276 | 25 | „ | 15017 | 18 |
| „ | 4843 | 28 | „ | 1098 | 21 |
| „ | 4964 | 21 | „ | 14670 | 41 |
| „ | 3387 | 1 | „ | 17873 | 17 |

**ხუთასი მანეთი.**

| სერ. NN | ბილ. NN | სერ. NN | ბილ. NN | სერ. NN | ბილ. NN |
|---|---|---|---|---|---|
| 17278 | 37 | 9393 | 12 | 3490 | 2 |
| 4621 | 42 | 1612 | 2 | 15699 | 11 |
| 18776 | 12 | 15001 | 7 | 2109 | 49 |
| 17514 | 25 | 2086 | 15 | 7920 | 9 |
| 7405 | 2 | 3071 | 47 | 208 | 4 |
| 18813 | 6 | 16228 | 5 | 19322 | 48 |
| 11258 | 4 | 3733 | 8 | 14604 | 32 |
| 6315 | 4 | 4055 | 46 | 6500 | 2 |
| 19780 | 32 | 3926 | 27 | 8749 | 15 |
| 1393 | 36 | 17755 | 23 | 18967 | 22 |
| 3356 | 30 | 10828 | 8 | 16322 | 39 |
| 2108 | 11 | 15884 | 8 | 11106 | 22 |
| 11499 | 24 | 13968 | 3 | 1397 | 11 |
| 7634 | 6 | 10434 | 48 | 5128 | 12 |
| 17034 | 13 | 16601 | 8 | 9874 | 49 |
| 190 | 11 | 4146 | 18 | 9181 | 28 |
| 2519 | 36 | 816 | 41 | 14768 | 6 |
| 13642 | 11 | 6081 | 11 | 335 | 23 |
| 198 | 23 | 5621 | 6 | 2281 | 17 |
| 19460 | 43 | 3031 | 25 | 17892 | 27 |
| 12605 | 25 | 18368 | 5 | 16830 | 38 |
| 10728 | 25 | 2086 | 5 | 5731 | 42 |
| 13770 | 40 | 8090 | 36 | 14318 | 15 |
| 12558 | 16 | 4795 | 34 | 8531 | 36 |
| 2533 | 42 | 17503 | 40 | 1252 | 6 |
| 4472 | 12 | 15174 | 34 | 14219 | 15 |
| 7056 | 17 | 16588 | 1 | 18110 | 29 |
| 2340 | 27 | 3766 | 10 | 9253 | 28 |
| 8994 | 21 | 9310 | 1 | 4968 | 48 |
| 12158 | 42 | 7637 | 45 | 6284 | 14 |
| 7571 | 45 | 7285 | 41 | 16352 | 49 |
| 16712 | 14 | 11635 | 49 | 3946 | 47 |
| 18012 | 17 | 6768 | 1 | 13264 | 3 |
| 13910 | 23 | 16916 | 35 | 3130 | 41 |
| 13047 | 39 | 17421 | 50 | 11081 | 28 |
| 10277 | 46 | 8836 | 39 | 6047 | 40 |
| 5923 | 42 | 8263 | 18 | 538 | 30 |
| 17793 | 28 | 8285 | 49 | 10500 | 48 |
| 7551 | 29 | 3354 | 13 | 14959 | 24 |
| 2362 | 35 | 15671 | 29 | 16513 | 15 |
| 8550 | 35 | 917 | 28 | 12883 | 3 |
| 10433 | 24 | 10152 | 19 | 16097 | 29 |
| 15353 | 1 | 19563 | 30 | 2671 | 30 |
| 9059 | 44 | 14586 | 28 | 9661 | 37 |
| 4465 | 5 | 404 | 4 | 6438 | 17 |
| 4193 | 12 | 500 | 14 | 4787 | 36 |
| 7153 | 34 | 4545 | 48 | 7414 | 9 |
| 14864 | 23 | 10181 | 1 | 15363 | 27 |
| 8131 | 41 | 18747 | 38 | 17181 | 6 |
| 3839 | 33 | 19055 | 3 | 18476 | 50 |
| 13669 | 8 | 8602 | 18 | 13789 | 35 |
| 12100 | 4 | 4108 | 43 | 4661 | 41 |
| 1975 | 14 | 7917 | 44 | 18652 | 4 |
| 19442 | 26 | 2475 | 34 | 17540 | 29 |
| 7551 | 6 | 6272 | 7 | 7948 | 19 |
| 383 | 7 | 1628 | 2 | 3061 | 32 |
| 15544 | 48 | 1827 | 41 | 18655 | 46 |
| 15940 | 5 | 2217 | 43 | 14701 | 46 |
| 11223 | 38 | 18995 | 27 | 9994 | 36 |
| 13998 | 48 | 13075 | 23 | 6867 | 13 |
| 4693 | 37 | 7397 | 6 | 7196 | 39 |
| 10869 | 25 | 6463 | 14 | 15574 | 17 |
| 10740 | 49 | 12147 | 35 | 19904 | 8 |
| 9083 | 21 | 2008 | 29 | 19826 | 17 |
| 9633 | 48 | 1106 | 16 | 19997 | 31 |
| 15420 | 32 | 8913 | 10 | 17807 | 1 |
| 12725 | 28 | 10656 | 16 | 10989 | 25 |
| 11335 | 18 | 16108 | 5 | 7004 | 49 |
| 2267 | 48 | 5381 | 32 | 18562 | 47 |
| 7115 | 36 | 19472 | 8 | 9894 | 46 |
| 16908 | 31 | 18995 | 26 | 10205 | 17 |
| 16768 | 43 | 18567 | 44 | 11547 | 36 |
| 1770 | 37 | 7992 | 8 | 2002 | 29 |
| 9842 | 25 | 19104 | 2 | 8654 | 35 |
| 3440 | 8 | 12935 | 48 | 51 | 19 |
| 2432 | 24 | 18836 | 4 | 10669 | 40 |
| 5914 | 8 | 13381 | 31 | 9955 | 47 |
| 16068 | 15 | 10129 | 13 | 12251 | 5 |
| 2327 | 38 | 258 | 27 | 907 | 1 |
| 13141 | 41 | 11092 | 10 | 2727 | 26 |
| 11609 | 28 | 5473 | 32 | 3207 | 42 |
| 12076 | 18 | 17521 | 21 | 7144 | 36 |
| 14503 | 8 | 10950 | 19 | 18927 | 26 |
| 3643 | 44 | 5721 | 4 | 14885 | 35 |
| 19714 | 4 | 3808 | 14 | 14134 | 40 |
| 635 | 30 | 4902 | 28 | 18327 | 36 |
| 14187 | 9 | 2775 | 33. | | |

ტირაჟში გამოსული სერიები:

8085, 13838, 11012, 9597, 7460, 18609, 15338, 8690, 17642, 12845 6454, 10318, 9835, 16396, 7232, 10560, 6420, 5540, 9651, 11648, 4240, 18689, 9452, 1092, 5945, 10136, 7471, 17730, 7590, 19928, 13596, 7984, 4145, 13065, 15679, 5210, 17744, 16853, 12148, 3361, 7939, 19649, 14581, 6385, 10876, 17173, 3106, 17889, 17432, 131, 6970, 4082, 799, 16069, 14502, 4647, 7238, 12559, 16324, 3070, 10306, 1929, 8310, 4506, 16260, 15060, 9520, 5533, 9792, 1114, 3818, 10433, 1448, 17453, 383, 12396, 1097, 12901, 4045, 4395, 13847, 19396, 19581, 6599, 18650 1062, 14292, 1884, 2728, 10645, 17198, 12837, 4326, 2971, 6807, 14406, 19223, 3487, 5667, 5634, 5045, 16459, 10875, 17121, 6194, 1218, 11937, 2142, 10368, 18655, 4016, 5939, 18034, 8230, 7953, 19141, 4736, 17580, 8822, 15035, 9456, 9235, 12335, 3013, 9231, 19916, 15891, 5687, 1915, 1924, 13360, 10246, 16021, 2464, 3739, 707, 11606, 19118, 13500, 5397, 8473, 9017, 1320, 12570, 747, 1981, 4601, 18249, 6605, 10091, 1333, 19695, 5609, 16194, 4342, 483, 17843, 12935, 4337, 5453, 9758, 6550, 14085, 750, 18774, 6692, 1709, 2596, 18110, 10936, 10726, 2940. 5617, 3821, 10758, 4829, 18041, 12123, 10092, 13423 9772, 10226, 9281, 18743, 19553, 9029, 3474, 2803, 2870, 1348, 53, 1961, 3929, 17378, 13595, 2834, 1654, 19768, 4973, 4573.


## თესლეულობა

მაღაზია ... თაის ... მიღებულია საუკეთესო ჯიშის იონჯის, სამყურის, კონდრების, ბეოლის, ეკლის ხის (гледичъ) და ყოველნაირ ბოსტნეულობის, ყვავილების და სხვა თესლეულობა. აქვე იყიდება ნაყენ ხეხილების ნერგები. მსურველთ პრეისკურანტი ეგზავნებათ მუქთად. (25—კვ.—25)

პირველი კერძო სამკურნალო
## დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირებს გარდა

**დილით:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) და საშარდე.
**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9 ნახ.—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ნახ. ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1 ნახ. ს. შინაგან და საბავშვო.
**ა. მ. ტურბოვიჩი:** 1 ნახ.—2 საათამდე საბებიო და ქალებისა.

**საღამოთი:**

**ი. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6 ნახ. ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. დ. მარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილების აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მეთანხმებით. სამკურნალოს დოქტორი
მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—44)

## სამკურნალო
**გარედან მოსიარულეთათვის ექიმი ა. ი. გრიგორიანისა.**
როყის ქ., ს. N 78, (სათივე მოედ. პირდაპირ)

**ს. მ. ას...ისოვი**—ყელისა, ცხვირისა და ყურისა 2—3 საათამდე.
**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიული ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ს. ზ მირზოევისა**—თვალის ავადმყოფობანი 12—1 ს.
**ი. ა. ფრიდონოვი**—შინაგანი და ბავშვის ავადმყოფ. 1—2 ს.
**ს. ა. თარხანოვი**—ბებიაობა, ქალისა და ბავშვის ავად. 9 ნახ.-დან 10 ნახ.-ს.-მდე.
**ა. ი. შახ-აზიზოვი**—საშარდე, ვენერ. (სიფილ.) და კანისა 2—3 ს.
**ნ. ბ. ნარიმანოვი**—შინ. და ქალ. 11—12 ს., 5—6 ს.
**ე. მ. ზვიაგინა**—კბილ. 9—11 ს.
**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**
ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით.
სამკურ. გამგე დ-რი **ა. ი. გრიგორიანი.** (100—ხალ.—13)

## I-ლი კავკასიის საფუტკრე ადოლფ დიუმასი.



ტფ ლისი, მიხეილის პროსპ, N 140.
სკები და მისი ნაწილები საკუთარ ელექტრო-ტექნიკურ სახელოსნოში დამზადებული. ხელოვნური ფიჭი. მეფუტკრეობის იარაღი. თაფლის გამოსაწური, სანთლის გადამდნობი, შესტერნები, ვალცები და სხვა. დარიგება ხელოვნურად დედა-ფუტკრების გასაშენებლად.

საგანგებო მიმშენებელი კავკასიის წმინდა ჯილაგის დედა-ფუტკრებისა.

თაფლი საკუთარ საფუტკრისა. წიგნები და სახელ მძღვანელოები. სურათებიანი პრეისკურანტი უფასოდ. (10—ნას.—3)

## ყველას შეუძლიან უზარალოდ

დარწმუნდეს, რა იაფი და კარგია შემდეგი საქონელი პირდაპირ ჩვენი ქარხნიდან გამოწერილი ქარხნის ფასებით:

**„ინგლისური ტრიკო“**—მეტად მკვიდრი, პრაქტ. და კოხტა შალის მატერია, რბილი შალის ქსოვილი მოხდენილ და დარბაისლურ კაცის ტანისამოსისათვის, შემდეგ ფერისა: შავი, მუქი და ღია ცის-ფერი, მიხაკის ფერი, ზეთის-ხილის ფ...რი, ენდროს-ფერი, სადა რუხი ან ლამაზ უჯრიანი, ზოლიანი და წინწკლებიანი, რომელიც მატერიას აძლევს მეტანიშნავ და ლამაზ სახეს. სეზონის უკანასკნელი მატერიები; კაცის მთელი კასტიუმისთვის 4 არშინი და 1 ჩარექი ღირს: 5 მ. 25 კ., საუკეთესო ღირსებისა—6 მ. 50 კ., „პ რ ი მ ა“-ს სორტისა—8 მ. 40 კ., „ექსტრა“ სორტისა—10 მ. 50 კ. და 12 მ. 50 კ. ს უ ლ ა ხ ა ლ ი რ ა მ: მატერია „მოსფორი“ 4 არშინი და 1 ჩარექი—11 მ. და 50 კ., „ექსტრა“—14 მ. 50 კ. ვინც ხამ ან მეტ ნაჭერს დაიბარებს—უფასოდ მიიღებს სარჩულს.

**ქალებისთვის „ინგლ. კონფექციონი“** ყოველგვარ ფერის სადა ‘აღან სოლიანი, წინწკლიანი და უჯრიანი, მეტად პრაქტიკული და კოხტა საქალო ტიკა უმებისათვის; ფასი 8 არშინისა (ქალის მთელი კასტიუმისთვის): 4 მ., 5 მ. 60 კ., 6 მ. 75 კ. და 8 მ. 50 კ.

**„ტიროლის ტილო“**—ქალისა და კაცის ნაირ-ნაირი საცვლებისათვის, საუკეთესო თვისებისა, მეტად თეთრი, სქელი და მკვიდრი, სიგანით 20 ვერშოკი; ნაჭერი (24 არშინი) ღირს 5 მ. 50 კ., საუკეთესო თვისებისა 5 მ. და 6 მ. 75 კ.

უზარალოდ. ვისაც საქონელი არ მოეწონება, ფულს უბრუნებთ. ჩალაგება და გაგზავნა ფირმის ხარჯით. ფას-დადებით გაგზავნაში მანეთზე ემატება 2 კ., ხოლო ციმბირში—მეტი წონისა. შეკვეთილ საქონელს უბედთაც ვგზავნით.

ადრესი: Фабрика Т-ва Суконно-Шерстяной мануфактуры. Г. Лодзь, N 18.
კარგ საქონელისათვის ფირმას ჯილდოები აქვს მიღებული რუსეთისა და საზღვარ-გარეთის გამოფენებზე. (7—6.—7)


სტამბა „სინათლე“, დიდი ვანქის ქუჩა, № 12.
რედაქტორ-გამომცემელი ი. ხ. აგლაძე.